

პოლიტიკური გითარება; — ელეგა მ. გელფიციზე და  
ლისა; — ჯევაზის დცი წლის უზრუნველობების  
ი. გრიშაშვილისა; შინაური შიმოხილა — \*\*\*  
შთის არწივი შამილი — ა. ფრონელისა; მსახურო,  
ერთი ჭიქა ღუდი — ღ; რომანისი — შ. ამირეჯი-  
ბისა; სინამდევილე — კ. მაყაშვილისა; ბან ივანე  
ჯავახიშვილის ღუქრა — ბ; მოკლე შიმოხილა ქარ-  
თულ მწერლობისა უძველეს დროიდან — იპ. ვარ-  
თაგავასი; ქართულ-რუსული პრესსა — ალარო-  
დიელისა.

კვირა, 14 თებერვალი

საპოლიტიკო, სამეც. და სალიტ. ჟურნალი

1910 წ.

## პოლიტიკური პილარება.

წინად, როცა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრე-  
ბაზე დავიწყებდით ლაპარაკს, ყველას ენაზე ეკერა  
ბიუროკრატია, ყველანი გავიძახოდით — გვახრჩობს  
რუსეთის ბიუროკრატია, სულს არ გვათქმევინებსო,  
და ციურ მანანასავით მოველოდით იმ ნეტარ წამს,  
როცა რუსეთი „განახლდებოდა“, როცა რუსეთში  
შემოვიდოდა მართველობის წარმომადგენლობითი  
წეს-წყობილება. ეხლა ამ დროსაც მოვესწარით და  
ჩვენთვის შეტად საგულისმოა გავითვალისწინოთ,  
თუ რას უნდა მოველოდეთ ამ „განახლებულ“ წეს-  
წყობილებისაგან.

თუ წინად ჩვენ არ ვიცნობდით რუსეთის ხალ-  
ხის პოლიტიკურ მიღებილებას, თუ ჩვენ მაშინ  
შხოლოდ ბიუროკრატიას ვხედავდით, ეხლა საშუა-  
ლება მოგვეცა თვით ხალხის პოლიტიკური მოქმე-  
დებაც დაახლოებით წარმოვიდგინოთ.

ვერავინ ვერ უარყოფს, რომ რუსეთის ახალმა  
წყობილებამ რაოდნაღმე მაინც საშუალება მისცა,  
ხალხში დამალულ პოლიტიკურ ძილებს თავი ეჩი-  
ნათ და აშკარად შესდგომოდნენ ჩამოყალიბების  
გზას. ასაკვირველია, ეს პროცესი ჯერ დასრულე-  
ბული არ არის და არც უნდა ველოდეთ მის დას-  
რულებას, ვინაიდგან ყოველი სიცოცხლის მატარე-  
ბელი ძალა, იზრდება, ვითარდება და თავის სიცო-  
ცხლის პროცესში სხვა და სხვა ცვლილებას განიც-  
დის. ყოველი პოლიტიკური მიმართულება, ყოვე-  
ლი პოლიტიკური პარტია დახასიათდება არა მარ-  
ტო მისი დაწერილი პროგრამით, არამედ უმეტესად  
მისი მოქმედებით, მისი პოლიტიკური სიმწიფით.  
თუ ამ თვალსაზრისით გავზომავთ რუსეთში მოქმედ  
პარტიებს, მაშინ, ვფიქრობთ, თანახმა იქნებით,  
რომ ინკლისელი ლიბერალი ბევრ საკითხში და განსა-  
კუთრებით მოქალაქეობრივ გატანის, მოპირდაპირე-  
თა შეგუების და პიროვნების პატივისცემის საქმე-

ში გაცილებით უფრო მაღლა იდგომილება, ვიდრე  
რუსი სოციალისტი, ასე რომ, როცა რუსეთის პო-  
ლიტიკურ მოღვაწეზე ამბობენ — ის უკიდურესი მე-  
მარჯვენა არისო, ეს რაღაც ისეთი არსებაა, რომე-  
ლიც ყოველივე მოქალაქეობრივ თავისუფლების  
უარყოფას წარმოადგენს. მართლაც, დღესაც რუსეთის  
სათათბიროში ბევრი მემარჯვენეა ისეთი, რომელიც  
სულით და გულით მომხრეა ძველ წყობილების და  
თუ „პარლამენტში“ წარმომადგენლად შევიდა, მხო-  
ლოდ იმ განზრახვით, რომ მას ძირი გამოუთხაროს  
და, თუ შეიძლება, კიდეც მოსპოს.

დღევანდელი რუსეთის სათათბირო ისეთი წე-  
სითა არჩეული, ისეთი შედგენილობისა, რომ თა-  
ვისთავად ის თავიდგანვე რადიკალობას ვერ დაიჩ-  
მებდა. პირიქით მოსალოდნელი იყო, რომ შეგნე-  
ბული რუსი ნათლად დაინახავდა თავის სახელმწი-  
ფოს მდგომარეობას, შეიგნებდა მისთვის ფართო  
რეფორმების საჭიროებას და ეხლანდელ მთავრობას  
ბრძოლას გამოუცხადებდა. ჩვენ კი სულ სხვას ვხე-  
დავთ. რამდენი დრო გადის, იმდენად მემარჯვენე  
ელემენტები სახელმწიფო სათათბიროში უფრო  
ძლიერდებიან. საკანონმდებლო სასწარი თანდათან  
მარჯვნივ იხრება. პარტია, რომელზედაც დღევან-  
დელი მთავრობა ეყარება, ოქტომბრისტების პარ-  
ტია, თანდათან ჰკარგავს გავლენას და რაოდნო-  
ბითაც მცირდება. ოქტომბრისტების პარტია სახელ-  
მწიფო სათათბიროს გახსნის დროს შესდგებოდა  
154 დეპუტატისაგან, დღეს კი იქ მხოლოდ 123  
კაცია. ეს თანდათანი დადნობა პარტიისა და მას-  
თან მისი გავლენის შემცირება იწვევს მემარჯვენე-  
თა გაძლიერებას, რომელნიც უკვე გაერთიანებასაც  
შეუდგნენ. წინანდელი ზომიერი მემარჯვენენი და  
ნაციონალისტები დღეს უკვე შეადგენენ ერთს პარ-  
ტიას — ნაციონალისტებს, საღაც 90 დეპუტატი  
ირიცხება. ხოლო ხომ მოგეხსენებათ, თუ რას წარ-  
მოადგენს ეს პარტია. მათი დეპუტატი რუსეთი  
რუსებისათვის. აქედან მოდისარებას მათი შე-  
მედების პროგრამაც. მათი შენანია — რუსეთში

## ”ჯეჯილის“

ოცი წლის იუბილი

„იზარდე მწვანე ჯაფარ დაპური, გახდი ყანა.“

მცხოვრები ერები ისეთ ჭახრაკში ჩააგდონ, რომ გასაქანი არა ჰქონდეთ, მოუსპონ ყოველივე საშუალება არსებობის დასაცველად, დაუხშონ კულტურულ განვითარების გზა, არ მისცენ არავითარი უფლება და ამნაირად უპარეროდ გამოახრჩონ თავის კლანჭებში. ამ მიზნის მისაღწევად ისინი უკვე შეუდგნენ დიდ მზადებას. თუ წინად მთავრობის მოქმედება თითქო განმარტოებული იყო, თითქო მას მხარს საზოგადოება არ უჭერდა, დღეს უკვე ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომელიც თანდათან იზრდება და ძალებს იკრებს.

ამ ცოტა ხნის წინეთ პეტერბურლში დაარსდა სრულიად რუსეთის ნაციონალური კლუბი, მას მოჰყვა სრულიად რუსეთის ნაციონალურ კავშირის დაარსება, ეხლა ზედ ერთვის ზომიერ მემარჯვენეთა შეერთება ამ კავშირთან.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ის ძალა, რომელიც მომართულია რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერთა განადგურებისაკენ, თანდათან იზრდება, ვითარდება და თავს იყრის. სხვების შთანთქვის მიღრეკილება ფეხს მაგრად იდგავს რუსთა შეგნებაში და საზოგადოებრივ მიმღინარეობად იქცევა. წინედ უფრო მაღლი ეროვნული ბრძოლა აშეარავდება, თეორიულად ყალიბდება და პრაქტიკულად ღრმავდება და მეტს სიმწვავესა და ულმობელობას იძენს. დევიზი „რუსეთი რუსებისათვის“ პრაქტიკულ პოლიტიკის მოძღვრებად იქცევა.



## ე ლ ე გ ი ა.

ცა აღარ სტირის და შავი მთა აღარ ქვითინებს, ბუნება ჰშვენის, მოლხენილი ტკბილად ღილინებს. ტყემ გაიღება, — მას ყორანი აღარ დასჩხავს... მდელო იმღერის — შიგ სიცოცხლე იშვების, ჰყვავის. ბოროტი ქარი აღარ ჰრმუსის, აღარ ღრიალებს... მის-წილ მშევიდობის სამური ჩნდე წკრიალებს. ცვარნი ციურნი ბალახთ მკერდზედ მარგალიტობენ, ციაგნი ცისა მოლხენილნი ზედ არშიყობენ... ცხოვრების გზაზედ მოქანცული მე-კი ვსუსტდები... აკ, ღმერთო, ღმერთო, რისთვის გაეჩნდი, თუკი მოკველები?!

### ა. ველისციხელი.



ქართულმა ლიტერატურამაც გამოიიარა გმირობის ეპოქა. თუ ისტორიაში არ დავიწყებთ ჩხრეკას, თუ თავს დავანებებთ იმ „ულირს მონათ“, რომელნიც ძველ დროში უთვალივად გაფანტულნი იყვნენ ჩვენს მონასტრებში და წუთიერ ქვეყნიერებას მოშორებულნი, ჩუმად, წმინდის გულით და წრფელის იმედით სწერდენ სხვა და სხვა წიგნებს და დიდის ბოდიშით მიმართავდენ წამკითხველს „შენდობისათვის“, თუ ამ ძვირფას მუშაკთა ღვაწლს გვერდს აუზვევთ და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას მივაქცევთ ყურადღებას, აქაც ვიპოვით ისეთს ხანას, როცა სამშობლოს აღორძინებით გატაცებულნი დაურიდებლად, თავის ძალლონის დაუზოგველად შეუდგნენ მეტად მძიმე საქმეს — ლიტერატურულ შრომას. ვინც ცოტაოდნად ახლო სდგას ჩვენ ლიტერატურასთან, კარგად იცის, თუ რა აუტანელ პირობებში უხდება მუშაობა ქართველ მწერალს. ამიტომაც არა ერთხელ გაუელვარებია სამშობლო უა ამა თუ იმ ნიჭს და მერე ისევ გამჭრალა ჩვეულებრივ ცხოვრების ტალღების მიერ ჩანთქმული. რა საჭიროა მცირედ მაგალითებს გავყვეთ? ავილოთ ჩვენი მე-XIX საუკუნის ვიმოჩნილი პუბლიცისტი, პოეტი და ბელეტრისტი ილია. განა ასეთს ნიჭს, ასეთ მაღლიან კალმის პატრონს თავისი ენერგია, თავისი მომქმედიბ ძალა ბანკის საქმეებში უნდა დაეხურდავგბია? განა ასეთი მოვლენა ეროვნულ განძის გაფლანგვა არა არის? ილია თავისუფალ უზრუნველ ყოფილი მწერალი განა ორჯერ და სამჯერ მეტ ნამოქმედას არ მოგვაწოდებდა? მაგრამ რას იზამ, როცა პირდაპირი გზა, გზა ლიტერატურისა ჩვენში მხოლოდ შიმშილის, თავზე-ხელაღებულის გზაა. ამიტომაც გული გტკივა, როცა ისეთ მოვლენას ხედავ, ხოლო საყვედური არავის არ ეთქმის. მსხვერპლსაც საზღვარი აქვს და ეს საზღვარია ფიზიკურ არსებობის დაცვა.

და როცა ლიტერატურა კაცს იმდენ საშუალებესაც არ აძლევს, რომ ფიზიკურად იარსებოს, მაშინ მით უფრო ძვირფასი, საყვარელი და პატივ-საცემი ხდება ის აღამიანი, რომელიც ამ აუტანელ პირობებში კალამს ხელიდან არ აგდებს, ებრძვის ცხოვრებას, ებრძვის მას უკუღმართობას და ამით გულ-გატეხილთ იმედს უდვიძებს, გულგრილთა არცხენს და საერთო სამშობლოს აღორძინებისაკენ იწვევს. ცხოვრებაში მარტო ნიჭი კი არ ბრწყინავს. ნიჭი, რომელსაც თან არ ახლავს მუდმივი შრომა, შეუსვენებელი გონებრივი ჯაფა, იგივე გავერანებული ვენახია, რომელიც არამც თუ ნამდვილ ყურ-

ქენს, კრიკნასაც აღარ იძლევა. ნიჭი, რომელსაც არ აშუქებს საზოგადოებისადმი თავდადება, ზეობრივი სიფაქიზე, ეს უკულმართი ძალაა, რომელიც უფრო ხშირად უკულმა პფარცხავს და საზოგადოებას ზენის მეტს არაფერს უქადის. ზეობრივი სიფაქიზე კი, ღრმა სიყვარული საზოგადოებისადმი, უანგარობა ანდამანტია, რომელიც უნებლიერ იზიდავს ყველას ვისაც ცოტაოდენი საზოგადოებრივი ნაპერწყალი გააჩნია. სწორედ ასეთი ანდამანტი იყო ჩვენს საზოგადოებაში ოცი წლის განმავლობაში „ჯეჯილის“ რედაქცია.

და განა ასე რომ არ ყოფილიყო, ოც წელიწადს გასძლებდა ქართული უურნალი? ჩვენში არ გამოსულა ამ ოცი წლის „განმავლობაში არც ერთი ცოტაოდნად თვალსაჩინო მწერალი, რომელსაც „ჯეჯილში“ მონაწილეობა არ მიეღოს. არა ერთი და ორი მწერალი „ჯეჯილში“ თანამშრობლობით გამოიწროთ. და ლიტერატორთა გუნდში ჩაეწერა. „ჯეჯილის“ რედაქცია მიმზიდველი, პატივისცემით და სიყვარულით მიმღები იყო და არის ყოველ ქართველისათვის, რომელსაც კი მოუსურვებია თავისი წვლილით სამშობლო ლიტერატურას რაიმე შესძინოს. „ჯეჯილი“ იყო ამ ოცი წლის განმავლობაში მუდმივი საკითხავი წიგნი ჩვენი მოზარდ თაობისა. ამ სიღატაკის დროს, როცა ხანდისხან თვეობითაც ვერ ნახავთ ახალ ქართულ წიგნს, „ჯეჯილი“ ოცი წლის განმავლობაში შეუქრებლივ აწვდიდა გონებრივ საზრდოს ქართველ საზოგადოებას, აყვარებდა მას სამშობლო ლიტერატურას, ულვიძებდა სამშობლოსადმი სიყვარულს, აწვდიდა გონებრივ საზრდოს და ამით გზას უკაფავდა ჩვენს გონებრივ განვითარებას.

დიახაც, რომ საამაყოა ისეთი ადამიანის ყოლა ხალხისათვის, რომელსაც ოც წელიწადს დაუღალავად უშრომნია თავის იბოლ, დაჯაბნებულ და ბექ შვილისაგნაც კი მოძულებულ სამშობლასათვის. და ეს ადამიანი არის ანასტასია წერეთლისა.

ჩვენი რედაქცია აღტაცებით ეგებება დღევანდელ დღესასწაულს და უსურვებს როგორც „ჯეჯილს“, ისე მის დაუღალავ ხელმძღვანელს ანასტასიოს კიდევ ხანგრძლივ სამსახურს ჩვენი ქვეყნის საკეთოლდღეოდ.



## რომანსი.

„დამივიწყეო!..“ ახ, ღვთაებრივო  
გაშ რად მოილტვის შენსკენ ფიქრები?  
ბნელ გზას მინათებ, ოცნების სხივო,  
მატებე, მახარე, ნუ ჩამიქრები!

\*\*\*

როს ცა ჰქებს, ღელავს,  
დრტვინავს და ელავს,  
მაშინ ბალ-ბუჩქნარს ბიპლიტორიკა  
ცეცხლ-მეხით სთელავს.

\*\*\*

და როს ცა წყნარად  
დასკერს ბალს მტკბარად  
ბუჩქიც ცას მშვიდს, წყნარს  
შეპხარის მარად!..

\*\*\*

ნუ მიცერ მტრულად, ცაო მრისხანე...  
დასცხრი... შემიმკე შუბლი ყვავილით!..  
ოლონდ მიბრძანე, შენ გეთაყვანე,  
და ჩავეხვევი სიკვდილს ღიმილით!..

## ი. გრიშაშვილი.

## მინაური მიმოხილვა.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას განსაცდელი მოელის. დღემდის ის ინახებოდა ქუთაისის ბანკის მოგებით, მაგრამ ახლა სამინისტროს უარი უთქვაშს, რომ მომავალ წლიდან ბანკის მოგება გიმნაზიას მოხმარდეს. ეს მეტად სასირცხო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ისეთ დიდ საკრედიტო დაწესებულებას, როგორიც ქუთაისის ბანკია, ერთი გიმნაზიის შენახვა არ შეეძლოს. ამაზე უფრო შერცხვენა მთელი ქვეყნის წინაშე აღარ შეიძლება. მერე ვისი ბრალია? ქუთაისის ბანკს ახვევია გარს ათასი წვრილმანი წუბრელა, რომელიც ცოტ-ცოტა. წვრილ-წვრილად სწუწნიან მას. ბანკობის თამაშობამ, კერძო პირების იდგილების ძებნამ და მასთან ჩვენი ხალხის ზედაცემულობამ ისეთი პირობები შექმნა ამ საზოგადო დაწესებულების გარშემო, რომ საქმის სათავეში მოჰყვნენ სრულიად უვარგისნი, საქმის არ მცოდნენი, ზანტრი და საზოგადო საქმეში. დაუდევარნი. ამას თან დაერთო წვრილ წუბრელების გამრავლება, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა დღეს მეტის-მეტად ძნელია, რადგან შებლ-გადარეცხილ ადამიანთან საქმის დაჭრა არც ისე აღვილია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შევიძლია საყვედლით არ მივმართოთ საზოგადოებას, რომელიც ხშირად ხელს აფარებს წვრილ ქურდბაცებს, არ სჯის მათ შესაფერად და ამით სხვებსაც აჩვევს აღვირ-ახსნილობას და საზოგადო საქმეში უტიფრად მოქმედებას. არ შემიძლია ისიც არ ვუსაყვედუროთ ჩვენ საზოგადოებას, რომ ის იძღნად დაჩივდა, რომ ულირს აღამიანებს, საქმისათვის გამოუსადევართ ირჩევს საპატიო ადგილებზე. ამიტომაც ეხლა მაინც იმედია გონს მოვლენ, არ აჰყვე-

ბიან ძველებურ მყირალა და შუბლ-წარეცხილ  
პირებს, ღინჯად გაითვალისწინებენ საქმეს, რომე-  
ლიც არც ისე ძნელი გამოსაკეთებელია, თუ რამ-  
დენიმე გულ-წრფელი, შეგნებული, საზოგადო საქ-  
მის მოყვარული და თავის მოვალეობის მცოდნე  
პირი ჩაუდგება სათავეში. მაშინ საზოგადოების შექ  
წეობით ადვილი იქნება წვრილ ბატაცების მოშო-  
რება და ბანკის შემოსავალიც ერთი ათად იმატებს,  
გიმზაზიასაც განსატელი ასკუდება და ბევრს სხვა  
ჩვენ საზოგადო საქმეს სული ჩაედგომის.

\* \*

მამულის საკითხი ჩვენში თანდათან მწვავდება. ყორნებივით მოგვაწყდნენ სხვა და სხვა მხრიდან წაქეზებულნი, დაგვინახეს დაბალი ლობე და სულ გათელვას გვიპირებენ. სამწუხაროდ ამავე დროს ჩვენში კიდევ სწამთ ის საოცნებო ზღაპარი, რომ მამულები უფასოდ დაურიგდებათ, რომ ყიდვა საჭირო არ არის. ეს შეხედულება, რომელსაც საღლეისოდ მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, ისე გაუჯდათ ძვალ-რბილში, რომ მამულზე გული აიცრუეს და სრულიად აღარ ფიქრობენ ხელინდელ დღეზე; ამავე დროს კი საიჯარო ფასი მატულობს, მამულიც იყიდება. გურიაში ბევრი სოფელი ისეთ ხრიოკზეა გაშენეაული, რომ ახლო-მახლო სახნავი მიწა სულ არ მოეპოვებათ, იძულებულნი არიან სოფ-ლელნი საყანე ეძიონ ორმოც-სამოც ვერსის სიშორეზე, შავი ზღვის პირას. ასეთი ძაღლური მდგომარეობა აუჯატანელია ხალხისთვის. ამ სიშორეზე სიარული, დროს კარგვა, დიდი იჯარა, აღგილობრივი სივიწროვე უნებლიერ აუიქრებიებს გურულ გლეხს ცოტა ფეხი მოიცვალოს და უფრო მოხერხებულ აღგილზე გადასახლდეს. მართლაც ამ ათი წლის გან-მავლობაში ხალხი ბარისკენ იწევს და იზრდება ისე-თი აღგილები, როგორც არის უნაგერა და სხვა. და რაც უფრო ადრე დაიძერის ხალხი შავი ზღვის პირისაკენ მით უმჯობესია. ჯერ-ჯერობით კიდევ მოსახერხებელია ამ აღგილებში ფეხის მოკიდება, ხოლო რამდენიც დრო გადის, იმედენად საქმე უფ-რო გაძნელდება, მიწის ფასი გაიზრდება და მამულ-საც სხვა პატრონები, მოსული პატრონები გაუჩნდებინ, როგორც უკვე გაუჩნდნენ ქობულეთისა და ციხის ძირის არემარეს. როგორც „დროება“ გად-მოგვცემს მთიან-გორიან გურიის მცხოვრებთ გადა-უწყვეტიათ ჩოლოქის პირზე აღგილის შეძენა, ხალ-ხი საქმეს შესდგომია, მაგრამ აქაც გაჩენილან უტი-ფარი პირნი, რომელნიც ცდილობენ ქიშპობა და ეთანხმოება ჩამოადონ სოფლელთა შორის. ჩვენ-ში ხომ ყოველთვის ჰყავს სოფელს თითო-ოროლა კბილის მატლი, მაღალ ფრაზებით მოსაუბრე, ვი-თომ და გულშემატკიცარი. აი ამ ვაჟ-ბატონების წყალობით საქმე შეიძლება კიდევ ჩაიფუშოს. ჩვენ გულწრფელად ვსთხოვთ დაინტერესებულ სოფ-ლელთ საქმეს ბრთხილად მოეკიდონ, ერთმანეთს

დაუთმონ და მაშული ხელიდან არ გაუშვან. გვეყო-  
ფა ამდენი დაუდევრობა და გაუგებრუნვა 1369

ტფილისში აქა-იქ უკვე მოიკიდა ფეხი პატარ-  
პატარა საკულტურო საქმეებმა. აარსებონ სამკით-  
ხველოებს, მართავენ წარმოდგენებს და სხვა. ერთი  
ასეთი საკულტურო საქმე არის ვერის აუდიტორია,  
სადაც ხშირად იმართება ქართული წარმოდგენა.  
აქ პატარა ჯგუფი ჩუმაღ, უყვირლად ეწევა თავის  
საკულტურო საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც  
„ახ. სხივი“ გადმოგვცემს, ვერის სცენას ცოტა მუ-  
შაკი ჰყავს. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება  
მიიღოთ ჩევნი საკულტურო საქმის გულ-შემატეკი-  
ვრებმა და დახმარება გაუწიონ ხალხისათვის მეტად  
საჭირო და საკეთოლო საქმეს.,.

# მოს არავით უამილი

ଓস(ଶ୍ରୀ)କଣିତ୍ପାତ୍ର ମହାନ୍ଦୀ.

IV

იერიშით აიღეთ ანჩიმერიო, უბრძანა გრაფ  
ვარანცუკმა გენერალ პასეკის ავანგარდს.

კირკის ულელტეხნილიდან ძირს დაეშვა გენერალ ბენკენდორფის უფროსობით რაზმი. ჯარის-კაცნი თხებსავით ხტოდნენ კლდილან-კლდეებზედ, ხოლო თ. ლევან მელიქიშვილის ქართველთა მილიცია თულებივით მიიპარებოდა ძირობებში და ამ რიგით მთელი მოწინავე რაზმი უცნებლად მიადგა ანჩიმერის მთის ძირსა.

ქართველი მილიციონერები პირველნი აკოც-  
დნენ ციცაბო კლდეზე. მილიციონერებს ფეხდაფეხ  
მისდევდა რუსის მხედრობა. გულადად დაუხვდა  
მტერი იქრიშის მომტანთ და დააყარა ზემოდან  
ლოდები, ყუმბარები და ტყვია, მაგრამ არ შეძრ-  
კნენ მელიქიშვილის ქართველები და გალომებულ-  
ნი წინ მიიწვევდნენ. ისე გახურდნენ თურმე ვაჟაცა-  
ნი, რომ აღარ მოუცადეს უკანა ჯარს და გიუდსა-  
ვით მიესივნენ ლეკებს. გაჩაღდა ხელ-ჩართული,  
ხმლისა და ხანჯლის ტრიალი. მალე წამოწივნენ  
ქართველებს რუსებიც და ხელა ამათაც დაატრია-  
ლეს ხიშტები. გაიმართა ულმობელი ხოცვა-ულეტა  
ანჩიმერის მთის მწვერვალზე; უსულო ლოდნი და  
კლდენი უხვად შეიღება წითლად ადამიანის სის-  
ხლით.

გრაფი ვარანცოვი დურბინდით უყურებდა კი-  
რკის უღელტეხილიდან ამ პირველ ბრძოლას და  
გული სიამოვნებით ევსებოლა, გამარჯვების ნიშნებს  
რომ ატყობდა.

შამილმა დასცალა ანჩიმერის მწვერვალნი და გარდაიხვეწა გუმბეთიდან.

გამარჯვებით დასრულდა პირველი შეტაკება

რუსებისა შამილის მხედრობასთან, მაგრამ აქვე იჩინა თავი მომავალ უბედურობისა და ტანჯვა-მწერა-რების ნიშნებმა. ისეთი ამინდი დაიჭირა, რომ ძალი გარედ არ გაიგდებოდა. წვიმა კოკის-პირულად მოვიდა, აცივდა საშინლად. გზები სულ ერთიან გაუუქდა. აბა კარგ ამინდში რაა მთებში გზა და რა დაემართებოდა ერთის კვირის განუწყვეტელ წვიმის შემდეგ! უტყეო გუმბეთში შეშის ნასახი არსად იყო, ასე რომ ჯარის-კაცები ცხელ საჭმელს დანატრულდნენ. ყველაზე დიდად ის აწუხებდა მეომარს, რომ არ იცოდა როგორ გაეშრო დასველებული ტანისამოსი.

ასე ვაი-ვაგლახრთ და მწერარებით გაატარო ჯარმა გუმბეთში მთელი ერთი კვირა.

11 ივნისს იყარა ბანაკიდან და გაემართა ანდისაკენ ბუცურის უღელტეხილით, რომელსაც უწოდებენ ანდის კარს.

შამილმა არ მოისურვა არც ანდის კარის დაკტვა და მის წინ ბრძოლა. დასცალა ეს მაგარი პოზიცია და მოშორდა ბუცურს, ხოლო გასცა ბრძანება, ცეცხლი წაუკიდეთ ანდის სოფლებსაო.

14 ივნისს რუსის ჯარი ავიდა ბუცურის უღელტეხილზე და იხილა საშინელი სურათი. მთელი ანდია, მთანი და ხეობანი კვამლითა და ჯანყით იყო მოცული. ხეობათა და წყლის პირებზე გაშენებული სოფლები იწვოდა და ინგრეოდა გაონავრებულ ცეცხლის აღმში.

საკუთარის ხელით საკუთარის ქონების გაქრობა-განადგურება—ეს ხომ უშველებელი მსხვერპლია საშმობლოს წინაშე, მაგრამ თავს რომ არ იზოგავდა შამილი, განა ქონებას გაუბროთხილდებოდა!

ანდის უმთავრესი სოფელი ანდიც შთანთქა ცეცხლმა. შამილმა არც ეს სოფელი დაინდო და ცეცხლი მისცა. პირველად გადამწვარ და გადაბუღულ ანდში შეიკრნენ ქართველები, სადაც ლეკები ჩასურებულიყვნენ. რაკი ხელ-ჩართული ომი გაიმართა ლექთა და ქართველთა შორის, ქართველების საშველად დაიძრა თ. ა. ი. ბარიათინსკი, შემდეგ იმპერატორის მოადგილედ რომ იყო კავკასიაში და რომელმაც გუნიბზედ დაატყვევა შამილი. ქართველები და ბარიათინსკის ეგრეთი აცილდნენ ანდის კლდეებზე და საღამომდის აკვდებოდნენ ლეკებს. ველარ გაუძლეს მთიულებმა გააფთორებულ ქართველებს და ეგრებს, დაიხიეს უკან და დაუთმეს მოზვავებულ მტერს ბრძოლის ველი. რუსის მხედრობამ დაიჭირა ს. ანდა 14 ივნისს. სოფლის სარდაფებში რუსებმა იპოვნეს 400 დამალული უუმბარა, რომლის წალება, ან აფეთქება ველარ მოესწროთ შამილის მეომრებს.

სოფელ ანდის დაჭრით დასრულდა რუსების გამარჯვებით წინმსვლელობა შამილის სამფლობელოს შუაგულისაკენ და იწყობა ხიფათი და ფათერები. უპირველესი დაბრკოლება ის იყო, რომ სურ-

სათი საკმაოდ არ მისდიოდა ჯარს. ეს იყო მიზეზი, რომ გრაფი ვორონცოვი 6 ივლისამდე გამარტინ გადამწვარ სოფელ ანდში, სადაც არაფრთო თარიშოვებოდა. განა მარტო ანდში, მთელ ანდიაში ათის კაცის გამოსაკვებ სურსათს ვერ მოაგროვებდა ადამიანი.

6 ივლისს რუსის მხედრობა თყარა ანდის ბანაკიდან და დაადგა დარგოს გზას. ვორონცოვს ამ დროს ახლდა 8000 ქვეითა ჯარის კაცი, 1200 ცხენოსანი და 22 ზარბაზანი. ამოდენა მხედრობა არას დროს არ შესულა დაღესტანში. რომ უფრო ადვილად წარმოიდგინოს მკითხველმა ჯარის მარშრუტი, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ ციხე-სიმაგრიდან „ვნეზაპნოე“ სოფელ ანდამდე პირდაპირის გზით, რუსებმა რომ გაიარეს, იქნება 60 ვერსამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. ანდიდან ჯარი გამობრუნდა ისევ ჩრდილოეთისკენ და გაემართა დარგოსკენ. დარგომდა უნდა ვიანგარიშოთ ეს 20 ვერსი, ხოლო დარგოდგან გერზელის სოფლამდე ეს 40 ვერსი. მაშასადამე გრაფ ვორონცოვის რაზმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წაიშა სამოც ვერსზე, ხოლო ანდიდან პირი იბრუნა და დაბრუნდა გერზელში. 1842 წელს დამარცხებული გენერალი გრაბეც ამავე გზით დაბრუნდა გერზელში.

ს. ანდიდან რუსებმა გაიარეს 14 ვერსი დარგოსაკენ და გაერდნენ უღელტეხილზე, საიდანც იწყობოდა ლრმა და ტყით დაბურული ხეობა. დარგოსა და უღელტეხილ შორის ეს ტყიანი და ლრმა ხევი სხევს.

უკანასკნელ უღელტეხილიდან, სადაც რუსები ავიდნენ 6 ივლისს, მოსჩანდა უღრანი, დაბურული ტყე და ტყის შუაგულში პატარა ველ-მინდორი. აქ, ამ ველ-მინდორზედ შამილს თვისი ბანაკი დაეცვა.

სამხედრო და საომარი გეგმა იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა და შამილისა სისრულეში იქნა მოყვანილი: გრაფი ვორონცოვი ჯარით შამილის სამფლობელოს შუაგულში შევიდა, ხოლო შამილმა რუსები შეიტყუა იქ, სადაც უნდოდა.

ა. ფრონტელი.

(შემდეგი იქნება)



## მსახურო, ერთი ჭიქა ლუდი!...

გი ღე მოჩანანისა

ფრანგულით.

რისთვის შევედი იმ საღამოს იმ ლუდხანაში? სრულებით არ ვიცი. სიცივე იყო. ჰერინწკლავდა,

წყლის მტვერი დასთამაშებდა და ოდნავ ჰერავდა გამსკვირვალე ნისლით ქუჩის სანათურებს, იგი აბრ-კუვიალებდა ქვაფენილს, რომელსაც აქაიჯ მაღაზიების სინათლეც ზედ ერთვოდა, თანაც ნესტიან ტა-ლას და გამვლელ-გამომვლელთა უსუფთაო ფეხსა-ცმელს შუქი ხვდებოდა.

არსად არ მივდიოდი. სადილის შემდეგ ცოტა გავლას ვაპირებდი. გავიარე ლიონის ბანკთან, ვი-ვიანის ქუჩა, კიდევ სხვა ქუჩები. უცებ თვალი მო-ვჰკარი ერთ დიდ ლუდებანას, ნახევრად საგეს. შე-ვედი შიგ ყოვლის უმიზეზოდ. არ მწყუროდა.

თვალის შევლებით ვეძებდი ისეთ ადგილს, რომ ძალიან შევიწროებულად არ ვყოფილიყავი, და ვაპი-რებდი ერთი ადამიანის გვერდით დაჯდომას, რო-მელიც მოხუცად მეჩვენა და რომელიც ნახშირივით გაშავებულ, თიხის, შაურიან ყალიონს სწევდა. ექვსი ანუ რვა ლამბაქი, მაგიდაზედ მის წინ ერთი მეო-რეზედ შელაგებული, ამელავნებდა რამდენი ჭიქა ლუდიც უკვე დაელია მას. მანცა და მანცა არ დავ-ჰკვირვებივარ ჩემს მეზობელს. ერთის თვალის შევ-ლებით ვიცანი ერთი იმ მსმელთაგანი, ერთი ლუდ-ხანას. შეჩვეულ პირთაგანი, რომელნიც დილით, გა-ლებისას მოდიან და საღამოს, დაკეტვისას მიდიან. იგი ჭუჭყიანი იყო, შუა თავზედ მელოტი, თანაც გრძელი გაქონვილი თმა, პილპილი და მა-რილი ეცემოდა მის ზედა-ჩასაცელის საყელოს. მი-სი მეტად განიერი ტანისამოსი ალბად იმ დროს იყო შეკერილი, როდესაც მას მუცელი უნდა ჰქონოდა. ეტყობოდა, რომ შარვალსაც ვერ იჭერდა ეს კაცი და ათ ბიჯსაც ისე ვერ გარდასდგავდა, რომ არ გა-ესწორებია და არ დაეჭირა ეს ცუდად დამაგრებუ-ლი საცმელი. ვინ იცის, ჰქონდა უილეტი, თუ არა? მარტო წარმოდგენაც-კი მის ფეხსაცელების შესა-ხებ და რასაც ისინი შეიცავდნენ, ჩემთვის განსა-ცვიფრებელი იყო. გაცემილ სახელოებს, როგორც ბრჩეილებს სრულებით შავი ნაპირი ჰქონდათ.

დავჯექი თუ არა ამ კაცის გვერდით, წყნარის ხმით მითხრა: „კარგადა ხარ?“

მსწრაფლად მივიხედვე მისაკენ და თვალები დავაშტერე. „ველარა მცნობ?“ მითხრა მან.

— „ვერა!“

„დე ბარჩე.“

განვციფრდი. ეს იყო გრაფი უან დე ბარჩე, ჩემი ძველი სასწავლებლის ამხანაგი.

ჩამოვართვი ხელი. ისე წამიხდა საქციელი, რომ ვერაფრის თქმა ვეღარ მოვახერხე.

ბოლოს წავილულლულე: „შენა, შენ ხომ კა-გად ხარ?“

„ისე, როგორც შემიძლია,“ — მიპასუხა წყნა-რად.

იგი დაჩუმდა. მინდოდა ალერსიანად მოვჰე-ყრობოდი, ვეძებდი სათქმელს: „მერე... რას აკე-თებ?“

„ხომ ხედავ“ — მიპასუხა, თითქოს ბედს და-მორჩილებიამ.

ვიგრძენი, რომ ვწითლდებოდი მშენებ განვაზ-დე: „მერე ყოველ დღეს?“

„ყოველ დღეს ერთი და იგივე“ — წარმოსთვა-მან სქელი კომლის აღმოქმენით.

შემდეგ დაჰკრა მაგიდის მარმარილოს სპილენ-ძის ფული (სუ), რომელიც ზედ ეგდო და წამოიძახა: „მსახურო, ორი ჭიქა ლუდი!“

შორეულმა ხმამ გაიმერა: „ორი ჭიქა ლუდი-ნი!“ მეორემ უფრო დაშორებულმა ხმა მოსცა: „აქ არის!“ შემდეგ გამოხნდა კაცი თეორის წინსაფა-რით, რომელიც მოაქანებდა ორ ჭიქა ლუდს და თანაც გამოქცევის დროს ქვიშა-მოყრილ მი-წას ყვითელ წვეთებს აპკურებდა.

დე ბარჩემ ერთის მოსმით დააცალიერა თა-ვისი ჭიქა და დასდო მაგიდაზედ, თანაც ისრუტა-და ულვაშებზედ დარჩენილს ქაფს.

შემდეგ იკითხა: „აბა რა არის ახალი?“

მართლაც არაფერი არ ვიცოდი ახალი, რომ მისათვის გამეზიარებინა. წავილულლულე: „არაფე-რი, ჩემო მოხუცო. მე ვაჭარი ვარ“. წარმოსთვა-მან იმავე ხმით.

„არა, მაგრამ რას იზამ? რამე ხომ უნდა გა-კეთო კაცმა!“

— „რისთვის მერე?“

— „საქმიანობისათვის.“

— „რის მაქნისია მერე? მე, როგორც ხედავ, არაფერსაც არ ვაკეთებ, არასოდეს არაფერს. როდესაც გროშიც არ გააჩნიათ, კიდევ მესმის, რომ მუშაობენ. მაგრამ, თუ კი ადამიანს საცხოვებელი აქვს, მაშინ ეს სრულებით უსარგებლოა. რა საჭიროა მუშაო-ბა? შენთვის ჩადიხარ ამას, თუ სხვებისათვის? თუ შენთვის ჩადიხარ ამას, ალბად ეს გართობს შენ, მაშასადამე ძალიან კარგია; და თუ სხვებისათვის ჩადიხარ ამას, სულელი ყოფილხარ მეტი არაფერი.“

შემდეგ დასდო ყალიონი მარმარილოზედ და ხელახლად გასძახა: „მსახურო, ერთი ჭიქა ლუდი!“

და განაგრძო: „წყურვილსა მგვრის ლაპარაკი. შეჩვეული არა ვარ. დიახ, არაფერსაც არ ვაკეთებ, მიშებული მყავს ჩემი თავი, ვხუცდები. სიკვდილის უამს არაფერი არ დამნანდება. სხვა არაფერი არ მომავინდება ამ ლუდხანის მეტი. არც ცოლი, არც შეილები, არც ფიქრი, არც დარდი, არაფერი. ეს უკეთესია.“

დასცალა ხელად მოტანილი ჭიქა, ენა მოის-ვა ბაგებზედ და ისევ მიუბრუნდა თავის ყალიონს.

განციფრებით ვუყურებდი.

— „მერე, ასეთი რომ არ ყოფილხარ მუდამ?“ — შევეკითხე მას.

— უკაცრავად, მუდამ, სასწავლებლიდგანვე.

— ეგ ხომ ცხოვრება არ არის, ჩემო კარგი.

ეს საშინელებაა. კაცო, რამეს მაინც ხომ აკეთებ, ხომ გიყვარს რამე, მეგობრები ხომ გყავს?

— არა. შუადღისას ვდგები. მოვდივარ აქ, ვსაუზმობ, ვსვამ ლუდი, ველი ღამეს, ვსაღილობ, ვსები ლუდი; შემდეგ, დიღის ასე ორის ნახევარზედ დასაძინებლად ვტრუნდები, რადგანაც ეს იკეტება. ესაა რომ ყველაზედ უფრო თავს მაბეზრებს. ათი წლის განმამავლობაში ექვსი წელი მაინც გამიტარებია ამ სკამზედ, ამ ჩემს კუნჭულში; დანარჩენიკი ჩემს ლოგინში, სხვაგან არაოდეს. ხანდახან გამოვესაუბრები ხოლმე შეჩვეულებს.

— კი, მაგრამ, პარიზში მოსვლისას რას აკეთებდი სულ პირველად?

— „უფლების ფაქულტეტი გავათავე... მედიჩის ყავახანაში.

— „მერე?

— „მერე... მდინარე გადმოვიარე და აქ მოვედი.

— „რად გასწიე ეს ჯაფა?

— „რას იზამ, არ შეიძლება მთელ თავის სიკოცხლეს ლათინურ უბანში დარჩენა. სტუდენტები ძალიან ხმაურობენ. ეხლა აქედგან აღარ დავსძრავ ფეხს. მსახურო, ერთი ჭიქა ლუდი!..“

მეგონა, რომ საცნად მიგდებდა. მაინც არ ვევებოდი.

„ერთი გულახდილად მითხარი. დიდი მწუხარება ხომ არ გამოგივლია? ცხადია, რაიმე უბედურება დაგტეხია თავს. რამდენი წლისა ხარ?

— „ოცდა უამეტისა. მაგრამ შესახედავად კი ორმოცდა ხუთისას მაინც ვგევარ.

კარგად მივაჩერდი პირდაპირ. მისი მონაოცებული, ცუდად მოვლილი სახე მიაგვდა თითქმის მოხუცისას. თავის თხემზედ რამდენიმე მოგრძო თბა დასთამაშებდა კანს, რომლის სისუფთავე საეჭვო იყო. უშველებელი წარბები, სხვილი ულვაშები და სქელი წვერი. უცებ წარმომიდგა, არ ვიცი რატომ, მოშავო წყლით სავსე ტაშტი, რომელ წყალშიდაც თითქოს გაუბანიათ ეს თმებით.

— „მართლაც და შენს ასაკზედ უფრო მოხუცის შეხედულება გაქვს. უეპველია ბევრი ჯავრი უნდა გქონდეს გამოვლილი“ — ვუთხარი მე.

მან მიპასუხა: „გარწმუნებ რომ არა. მოხუცი ვარ მიტომ, რომ არასოდეს არ გავდივარ ჰაერზედ. არაფერი არ აფუჭებს ადამიანს ისე, როგორც ყავახანის ცხოვრება.“

ვერ დამეჯვრებია მისი სიტყვები: „ალბად დროც ბევრი გიტარებია? შენსავით არ გამელოტდება ადამიანი, თუ მას ძალიან არ ჰყავარებია.“

მშვიდად გაიქნია შუბლი და თანაც ზურგზედ დაეყარა პატარა თეთრი ნაწილები, რომელიც სცვივოდა მის უკანასკნელ თმას: „არა, მუდამ წყნარი ვიყავი.“ ამასთან თვალები მიაპყრო ხომლს, რომელიც თავს გვიხურებდა და სთქვა: „მელოტი თუ

ვარ, ეს ამ სანათის ბრალია. იგი თმის მტერი არის. — მსახურო, ერთი ჭიქა ლუდი უკარგული რია?

ბრიტანიის

— „არა, გმაღლობ. მართლა ძალიან მეინტერესება შენი საქმე. დიდი ხანია, რაც ეგრე სასოწარკვეთილი ხარ? ეგ ჩვეულებრივი რამ არ არის, ეგ ბუნებრივი არ არის. რამე უნდა იყოს უთუოდ.“

— დიახ, ამას ჩემს ბავშვობაშივე უძევს სათვე. პატარაობისას მომხვდა ერთი და ამან წყვდიადისაკენ მიმაბრუნა აღსასრულადდე.“

— „განა რა იყო ეგეთი?

— გინდა შეიტყო? ყური დამიგდე. ხომ გახსოვს სასახლე, სადაც აღვიზარდე, შენ ხომ ხუჯლე-ექვსჯელ ყოფილხარ იქ არღადეგის დროს? ხომ გახსოვს ის დიდი რუხვი შენობა, დიდის ბალჩით გარემოცული, და მუხის გრძელი ხევნები ოთხ უმთავრეს მიდამოსაკენ გაშლილი! ხომ გახსოვს მამაჩემი და დედაჩემი, ორივე ცერემონიის მიმდევარი, დიდებული და მრისხანე?

დედა-ჩემს ვალმერთებდი; მამა-ჩემის მეშინოდა და ორივეს-კი პატივს ვსცემდი, თანაც შეჩვეული ვიყავი ამ სანახაობას, რომ ყველანი მათ წინაშე ქედს იხრიდნენ. მთელი ჩვენო კუთხისათვის ისინი იყვნენ ბ-ნი გრაფი და ქ-ნი გრაფის მეულლე; ჩვენი მეზობლებიც ტანნმარები, რავლე, ბრენნვილები ჩემს მშობლებს უაღრესის პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ცამეტის წლისა ვიყავი. მხიარული, ცველაფრით კმაყოფილი, როგორც არიან ხოლმე ამ ასაკში, რომელიც სიცოცხლის ბედნიერებით არის აღსავსე.

ენკენისთვის მიწურულში, სასწავლებელში დაბრუნების რამდენიმე დღის წინ, როდესაც ბაღის ხეივანში, ტოტებსა და ბალახებ შუა სირბილით მგელობანას ვთამაშობდი, ერთი ხევნის გაღარბენის დროს დავინახე მოსეირნე დედ-მამა.

გუშინდელ ამბავივით მახსოვს. მეტად ქარიანი დღე იყო. ძლიერი ქარისაგან მთელი ხეების რიგი იხრებოდა, კვნესოდა, თითქოს გმინავდა იმ ყრუ, ღრმა ახერით, რომელიც აღმოპზება ხოლმე ტყეს ქარიშხალის დროს.

მოწყვეტილი, უკვე გაყვითლებული ფოთლები, ფრინველივით მიპფრინავდნენ, ტრიალებდნენ, ვარდებოდნენ, შემდეგ მირბოდნენ ხევნის მიყოლებით, თითქოს მარდი ცხოვნლები არიან.

საღამოს უამი ახლოვდებოდა. ხშირ ხევანს ბნელი ეფარებოდა. ქარისა და ტოტების ეს მოძრაობა მაღლვებდა, გიუკვით მარბენინებდა და მგლის მსგავსად ვლმუოდი.

მოვჰკარი თუ არა თვალი ჩემს მშობლებს, გავექანე მათკენ ტოტებ ქვეშ ქურდულის ნაბიჯით და მინდოდა უცებ დავსცემოდი მათ, თითქოს მართლაც ნამდვილი მაწანწალა ვყოფილიყავი.

მაგრამ შიშმა შემიპყრო და რამდენიმე ნაბი-

ჯით მათზედ დაშორებული შევდექ. მამა ჩემი საშინელის გულმოსულობით ატაცებული ჰყვიროდა: — დედა შენი სულელია; გარდა ამისა დედა შენს კი არ შეეხება ეს საქმე, არამედ შენ. გეუბნები, რომ ეს ფული ჩემთვის საჭიროა და ველი შენს ხელის მოწერას.

დედამ უპასუხა გადაჭრით:

არ მოვაწერ. ეს სიმღიდო უნის არის. ამას მე იმისათვის ვინახავ და არა მსურს, რომ ესეც ქალებთან და მოსამსახურებთან შესჭამო ისე, როგორც შენს მემკვიდრეობას უყავ ესა.

მაშინ ბრაზ-მორეული მამა მიუბრუნდა, იგი სწვლა კისერში თავის მეუღლეს და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, მეორეს ხელით პირდაპირ სახეში დაუწყო ცემა.

დედას ქუდი გადაუვარდა დაშლილი თმა გაეწერა; იგი სცდილობდა როგორმე ხელის აცდენას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. მამა-კი, როგორც გიური, სცემდა, სცემდა. დედა დავარდა ძარს თანაც ორივე ხელით სახეს იმაღლვდა. მაშინ მან გულ-აღმა გადმოაბრუნა, სახეზედ მიფარებულ ხელების მოსაშორებლად, რომ კიდევ ეცემა მისათვის.


მე-კი, ჩემო კარგო, ასე მეგონა, თითქოს ქვეყნის აღსასრულმა მოაღწია, თითქოს საუკუნეთა კანონები შეიცვალნენ. ისეთს აღშფოთებას გჰვრმნობდი, როგორსაც განიცდის ხოლმე აღამიანი არა ბუნებრივი რამის წინაშე, განსაცვიფრებელი უბედურების წინაშე. ბავშვმა დაფარებული გონება, შევიშალე. და, რაც ძალი და ლონე მქონდა, დავიწყე ცვირილი. თვითონაც არ ვიცოდი რისთვის, ატაცებულმა შიშით, რაღაც ტკივილით, საშინელის ელდით. გამამ ყური მოჰკრა, სახე ჩემსკენ მოიბრუნა, დიმინახა; იგი წამოდგა და ჩემსკენ გამოემართა. ვიფიქრე, რომ ეს ეს არის მომკლავდა და მოვცეულ-ცხლე ისე, როგორც გაქცეული ნადირი თავ-აღბით პირდაპირ გარბის ტყეში.

გავრბოდი, არ ვიცი შეიძლება ერთ საათს, შეიძლება ორ საათს. ამასობაში ბინდმაც მოატანა, დავეცი ბალაზედ მოქანული და იქვე დავრჩი გაფანტული, შიშით ატაცებული, შეპყრობილი ისეთის ჯავრით, რომელსაც შეუძლია სამუდამოდ ბავშვის საწყალი გულის დამსხვრევა. სიცივემ ამიტანა, ეგების მშიოდა კადეც.

დღემ მოატანა. ვერა გჰვედავლი ადგომას, ვერც სიარულს, ვერც დაბრუნებას, ვერც უფრო შორს გადაკარგვას—მეშინოდა არ შევხვედროდი მამა ჩემს, რომლის მეორედ ნახვა აღარ მსურდა.

ეგებ კიდეც მომკვდარვიყავი იმ ხის ძირად სილარიბისა და სიმშილის გამო, რომ დარაჯს არ ვენახე და ძალით არ მივეყვანე.

ვნახე მშობლები ჩვეულებრივის სახით. დედამ მხოლოდ ეს მითხრა: „როგორ შემაშინე, საზიზლარო ბავშვო, მოელი ღამე უძილოდ გავათვნე.“

პასუხი არ გამიცია, მაგრამ ტირილი დავიწყე. მამას ერთი კრინტიც არ დაუძრავს.  რვა ღლის შემდეგ სასწავლებელში შევერთოთ ჩემთვის-კი, ჩემო კარგო, ყველაფერი გათავებული იყო. მე ვიხილე საგნების მეორე მხარე, ცუდი; კარგი-კი იმ დღიდგან არა შემიშნევია-რა. რა მოხდა ჩემს გონებაში? რომელმა უცნაურმა მოვლენამ გადამიბრუნა აზრები? არა ვიცი-რა. მაგრამ არ მიგრძნია არაფრის გემო, არაფერი ნატვრა, არავის სიყვარული, არც რამე სურვილი, თავ-მოყვარეობა ანუ იმედი. და თვალ წინ მიდგა მუდამ ჩემი საბრალო დედა, მიწაზედ, ხეივანში, როდესაც მამა ჩემი მას სცემდა.—რამოდენიმე წლის შემდეგ დედა ჩემი გარდაიცვალა. მამა ეხლაც ცოცხალია. მას მერე აღარ მინახავს.—მსახურო, ერთი ჭიქა ლუდი!..

მოუტანეს ჭიქა, რომელიც ერთის მოსმით გამოსცალა. და რომ მოინდომა ხელ-ახლა ყალიონის აღება, რადგანაც ათრთოლებული იყო, გასტეხა იგი. მაშინ როგორდაც უიმედოდ შეირხა და სოქვა: „დახე! ეს-კი ნამდვილად გულს დამაკლდა. ერთ თვეს მაინც მოვუნდები ახალი ყალიონის გაკომვლას“.

ესა სოქვა და განიერ დარბაზს, ეხლა კომლითა და მსმელებით საცეს, გასძახა თვისი მუდმივი ხმა: „მსახურო, ერთი ჭიქა ლუდი— და ერთი ახალი ყალიონიც!“

3. ლ—ძე.



## რომანსი.

შენ უკვე ნაღვლობ, ჩემო საუნჯე და წარსულიცა ჩემი შეგზარდა, რომ გულის-ცემა ვერ დავიმუნჯე და ვიდრე გნახე, მე სხვაც მიყვარდა. საქართველოში ბევრია ქალი, შენებრ მშვენია მათიცა სახე, შენ დაგეძებდა. მარად უამს თვალი, შენ დაგეძებდა და ის კი ვნახე. შენ ოცნებასა მსხვრეულსა სტირი და გსურს იცოდე: ვინა და როდის? მაშინ ზაფხულის იყო ჯერ პირი, მას კი არ ველი და არც ის მოდის! ისევ მიღერე, ვიდრე ჰეთქეშ გული, ყურს გიგდებ ვიდრე ხმა მიგიწყდება, ჩემში ბევრია შენებრ ასული, შენთან კი ყველა დამავიწყდება. და თუ მას ჰეთქინ ამ ქვეყნად ბედი, რასაცა კაცი ქვეყნად მისწვდება, ჩემიცა ბედი მათზე არს შეტი და ქვეყნასაც გადასცილდება!

შ. ამირეჯიბი.



## ან. ჭერეთლისა

(აფრობიოგრაფიული ცნობები).

1865 წელს მაისში საქალებო ინსტიტუტი და-  
კამთავრე, ხოლო იმ წელს ავისტოში შევსრულდი  
15 წლისა, არაფერი ცოდნა იქიდან არ გამომიტა-  
ნია. მე მყავდა და, რომლის ხელმძღვანელობით და-  
ვიწყე თითქმის ანბანიდან ჩემი განვითარება. ხომ  
მოგეხსენებათ, მამა ჩემმა ზედ-მიწევნით კარგად იცო-  
და ქართული ენა. როგორც თავადის ქალისაგან, საზოგადო წრე ჩვენგან სხვას მოელოდა და ამიტომ  
ბრძოლა დაგვჭირდა მე და ჩემს დას. ის სუსტი აგე-  
ბულებისა იყო და მგრძნობიერი—ვერ აიტანა—და  
გარდაიცვალა. მას შემდეგ მამაც მომიკვდა და და-  
კაპირე საზღვარ გარედ წასვლა სასწავლებლად და  
როცა წავედი, ვიგრძენ, რომ ავადმყოფ დედის მი-  
ტოვებას ვერ შევსძლებ და არც იმედი მქონდა, რომ  
ექვს წელს შევსძლებდი უმოქმედოთ იქ ყოფნას, და  
ისიც ისეთი სწავლის შეძენას, რომელიც უფრო  
ჯიბეს გამოადგებოდა. ჩამოველ თუ არა, დავიწყე  
ცოტ-ცოტა თარგმანების და პატარა საკითხავი ამ  
ბების ბეჭდვა გაზრდა „დროებაში“. ამან კარგა  
ხანს გამიტაცა. ამავე დროს ცალკე წიგნების გამო-  
ცემასაც შევუდევი. მე ვმუშაობდი წერა-კითხ. სა-  
ზოგადოებაში. გამოვეცი: „ხატაური“, რობინზონ  
კრუზი“, მერე „ცრინი“ „გუსტავ ვაზა“ „თეთრი და  
ზანგი“ „მოლალური“ „ტახტის მემკვიდრე და მათ-  
ხოვარი“. ვთარგმნე ფრანგულიდან კომედიები „ქა-  
ქი-ბუქი“, „ჯერ-თავო და თავო“ და კიდევ რამდენიმე.  
1884 წ. დავაარსე ხელთუბნის სკოლა წ. კ. საზ.  
დამშარებით, ავვაშენე საკუთარი სახლი.

1886 წ. დავაარსე მასწავლებელთა დამახმარე-  
ბელი საზოგადოება. (ეს გამოიწვია ერთი ქართველი  
მასწავლებელი ქალის თავის მოკვლამ).

ამ ოცი წლის განმავლობაში არ დაბეჭდილა  
თითქმის არც ერთი ნომერი „ჯეჯილისა“, რომ მე  
თვითონ არ დავსწრებოდი სტამბაში მის ყოველი  
ფორმის დაბეჭდვას 1894 წელს სამი მინისტრის  
ხელ-მოწერით მივიღე ქალალდი „ჯეჯილის“ და-  
კეტვისა.—ნომრების მაგივრად, სანამ დავიბრუხებდი  
გამოცემის ნებას, ვაწოდებდი ჩემ მცირე ხელის მო-  
მწერლებს „მერცხალს“ (ორი წიგნი) „მოლალურს“

(ორი წიგნი) და ამ დროს ყველა დაბრკოლებას  
თავი დავაღწიე და ისევ ნება გამოვიტანებულ უკან  
წოდებულ რევოლუციის დროს გადაწყვეტვა მრავალ  
ლებით შემეჩერებანა „ჯეჯილის გამოცემა მაგრამ  
ამ გადაწყვეტილებამ ორი თვე ავად გამხადა, მერე  
ძელი წლების ნომრების გაყიდვით განვაგრძე გა-  
მოცემა.

ამ ორი წლის წინეთ უფულობამ და „ჯეჯი-  
ლის“ „სიყვარულმა მაიძულა მეყისრნა ბილეთების გა-  
ყიდვა „უმალლესი კურსებისა“ და ამ ნაირად საქმე  
განვაგრძე,



ქავახიშვილის ლექციები  
ქართულ საისტორიო მწერლობაზე.

მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული მეთხუთმე-  
ტებდე მონლოლები სწერდენ საქართველოს და ამ  
დროს შესამჩნევი რეგრესი შეეტყო საქართველოს  
ცხოვრებასა. დაქვეითდა მწერლობაც. დაქვეითდა სა-  
ისტორიო მწერლობაც. ძნელი შეიქმნა ახალ ცნო-  
ბათა შეკრება და მონლოლების ბატონობის ისტო-  
რიის აღდგენაც მეთხუთმეტე საუკუნეში.

მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“  
შეტანილია ამ დროის ერთი ისტორია, რომლის  
ავტორი საუბედუროდ ცნობილი არ არის. ეს ის-  
ტორია იწყება ლაშა გიორგის მეფობითა და მიღის  
მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისამდე, გიორგი ბრწყი-  
ნვალებულებე—საზოგადოდ ძნელია „ქართლის ცხოვ-  
რების“ დაყოფა, მაგრამ განვიმეორებთ, იმ სახით,  
რა სახითაც ეს ისტორია მარიამ დედოფლის „ქარ-  
თლის ცხოვრებაშია“ შენახული, იგი ერთი ავტო-  
რისაგან უნდა იყოს დაწერილი. ავტორი სარგებ-  
ლობდა ვიღაც შიო მღვიმელ ბერის, „უამთა აღმწე-  
რლის“ ნაამბობით, როდესაც სწერდა ჯალალ-ედი-  
ნისაგან თბილისის აღების ამბავს. იგი აგრეთვე თა-  
ნამედროვეთა ცნობათა გარდა, სარგებლობდა მონ-  
ლოლურ, სპარსულ და არაბულ წყაროებითაც, სუ-  
დნია კიდეც ეს ენები.—მონლოლების ხანის ისტო-  
რია, როგორცა ვსთქვით, იწყება ლაშა გიორგის  
მეფობით. აღწერილი აქვს ისტორიკოსს კარგად ჯა-  
ლალ-ედინის შემოსევა, რაშიაც ვრწმუნდებით, ვა-  
დარებთ რა უცხო ისტორიკოსთა ცნობებს. ამ თხზუ-  
ლებაში მონლოლებზედაც მოიპოვება ცნობები, ერ-  
თი უკველესი მონლოლური ლექსიც კი არის მო-  
ყვანილი, აგრეთვე მონლოლთა წელთა-აღრიცხვა,  
რაიცა ძლიერ საინტერესო უნდა იყოს მონლოლურ  
ენის სპეციალისტისათვის. როდესაც მისს ისტორიას  
ვადარებთ რეშიდ-ედდანის ისტორიას, მაშინ კიდევ  
უფრო ვრწმუნდებით ავტორის ცნობათა სისწორე-  
ში.—ავტორი მონლოლებს ცუდად არ იხსენიებს,

კიდევ აქებს მათ, აღტაცებულია ჩინგის-ყაენის „ულულ-იასა“-თი, მისი კანონებითა. არც ჯალალ-ედლინის წინააღმდეგ უთქვამს რამე, მისი სიკვდილის შესახებ კიდევაცა სწუხს ძლიერ. ეს იმითი აისხნება, რომ იმ დროს ჩვენი ისტორიუმსები სასოწარკვე-თილნი იყვნენ, მონღლოლების ბატონობა საბოლოო ბედად მიაჩნდათ და ურიგდებოდნენ ბატონთა და მათ თვირსებათა.

ისტორიუმს კრიტიკული მსჯელობის უნა-რიც მოეპოვება. ორი დავითის გამეფებისა და ქიშ-პობის დროს იგი სცდილობს გარდასწყვიტოს სადა-ვო საკითხები ნამდვილ საბუთებით.

მონღლოლთა ხანის ისტორია მაინც დიდი რე-გრესია ჩვენ საისტორიო მწერლობაში. არც ზეო-ბრივის მხრით, არც ეროვნული თავ-მოყვარეობის მხრით, არც აღწერისა, ხელოვნებისა და სიმართლის მხრით, არც ენის სიმშვენიერის მხრით მონღლოლთა ხანის ისტორიუმსები აღარ მოგვაგონებენ ძველს ისტორიუმსებს, დიდი დავითისა და თამარის ისტო-რიუმსებსა, მაგალითად.

გიორგი ლაშიდგან—გიორგი ბრწყინვალემდე— აი ჩვენი ისტორია მონღლოლთა ხანისა. ამით თავდე-ბა იგი. თუმცა ზემოხსენებული ისტორიუმი მოს-წრებია მონღლოლთაგან საქართველოს განთავისუფ-ლებას, მაგრამ მას იგი არ აუწერია.

როგორც ამას ზოგიერთი საბუთი ამტკიცებს, გიორგი ბრწყინვალის ისტორიაც ყოფილა დაწერი-ლი და „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი, მაგრამ დღეს იგი სუბედუროდ დაკარგულია.

ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტა-ნილი ყოფილა ორი თხზულება,— „ცხოვრებანი“ ბა-გრატისა და კონსტანტინეს, ვინაობა ავტორისა არ არის გამორკვეული, არც ის, თუ როდის დაუწერია ეს თხზულება.

არავითარი ცოდნა და განათლება არა ჰქონია ავტორს, როგორც საინტერესო საბუთი ამტკიცებს, გიორგი ბრწყინვალის ისტორიაც ყოფილა დაწერი-ლი და „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი, მაგრამ დღეს იგი ბარათაშვილების ქების მეტი არა არის რა.

ფრიად საინტერესოა ეგრედ წოდებული „ძეგ-ლი ერისთავთა“, თუმცა პირველი ნაწილი მისი შეცდომებით არის სავსე. მეორე ნაწილი-კი, რო-მელიც ფრანგულად ბროსსემ დაბეჭდა და ქართუ-ლად თ. უკრდანიამ თავის „ქრონიკებში“, ფრიად საინტერესო ცნობებს გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ სწარმოებდა ბრძოლა ოსთა და ქართველთა შორის, თუ როგორ დაიძრნენ ლეგი მთიდან ბა-რად და როგორ იქცერდნენ საქართველოს მიწა-წყა-ლსა. მართლაც ჩვენ ვამჩნევთ, რომ მე-XIV საუკ-ოსები საქართველოსკენ იწყება ძირის, მაგრამ ქარ-თველდებიან. თხზულება დაწერილია ლარგვისის მო-ნასტერში.

მე-XV და მე-XVI საუკუნეებში ჩვენი სასტუ-რიო მწერლობა სრულიად ჩამოქვეითდა. არარ იყო აღარც უნარი და შნო წერისა, აღმატე თავალია უშე-ვის ასპარეზი. რაც დაუწერიათ „მოსტრუმეტე“ წილად დაკარგულია. არც კი ვიცით, იყო თუ არა იმ დროს „ისტორიები“. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ არსებობდნენ ქრონიკები, მაგალითად „მესხურ და-ვითნის ქრონიკები“, რომელთაც მატიანის ხასიათი აქვს. ამ თხზულებამ ჩვენამდის მოაღწია, მაგრამ ხუთი წიგნის მაგიერ 16 გვერდმა მოაღწია. და შე-იცავს 19 წლის ამბებს. იგი ბ-ნ ექვთიმე თაყაი-შვილის მიერ არის გამოცემული „სამ ისტორიულ ქრონიკაში“. ავტორი ათაბაგთა სახლის წევრი ყო-ფილა. მოიპოვება აუარებელი ქრონოგიური ცნობა, თანამედროვესაგან ჩაწერილი. იყო აგრეთვე „გელათური ქრონიკა“, რომლის შესახებაც ცნო-ბები ვახუშტის მოეპოვება. თვით დედნიდან ამოღებული ცნობები შეტანილია „ქართლის ცხოვრების“, მეორე გაგრძელებაში. იქ, როგორც სახანს, დასავლეთ საქართველოს 100 წლის ამბავი ყოფილა მოთხრობილი. ეს მატიანები ისტორიანი არ არიან. ხოლო მეთევსმეტე საუკუნეში არა იყო რა მათ შეტი. ეს ხანა უსაშინელესი დაქვეითების ხა-ნა იყო საისტორიო მწერლობისათვის.

მეტვილმეტე საუკუნე უპირველეს ყოვლისა შე-სანი შნავია უცხო მოგზაურთა ჩვენის ქვეყნის აღ-წერილობითა. ამ დროს მოდიოდნენ ჩვენში იტალი-ელები, ფრანგები, გერმანელები და სხვანი, რომელ-თა თხზულებებში ბევრი ძლიერ საინტერესო ცნო-ბა მოიპოვება. შესანი შნავია არქანჯელო ლამბერ-ტის აღწერილობა სამეცნიეროსი და აგრეთვე საქარ-თველოში მოგზაურობა შარდენისა, რომელსაც ბევრ ყალბ ცნობასთან ბევრი საინტერესო და სწორი ცნობაც მოეპოვება.

მაგრამ მეტვილმეტე საუკუნეში ჩვენ ორიგინა-ლურ მწერლობასაც ეტყობა გამოცოცხლება. საზო-გადოდ ამ ხანაში იწყება ჩვენი გონებრივი ხელ-ახა-ლი აღორძინება ყოველ დარგში და კერძოდ სა-ისტორიო მწერლობაში.

პირველი მომასწავებელი ასეთის გამოღვიძები-სი იყო ფარსადან გორგიჯანიძე. იგი პირდაპირ წი-ნამორბედი იყო ვახტანგ მეფის საისტორიო კომი-სიისა, რომელმაც შეკრიბა ყველა საისტორიო თხზულებანი, შეასწორა და განაახლა ჩვენი ისტო-რიული მეცნიერება.

ფარსადან გორგიჯანიძე დაიბადა გორგი 1625 წელს. მან მოინდომა დაწერა საქართველოს ისტო-რიისა უძველეს დროიდან თავის დრომდე. დაუმთავ-რებია თვისი თხზულება 1696 წელს.

ფარსადან როსტოკში მეფის კარზედ იყო აღ-ზრდილი, შემდეგ სპარსეთში წავიდა მეფის მოადგი-ლედ და სპარსეთის ხელმწიფებს ემსახურებოდა ერთ-გულად. მან მაკმაღიანობაც მიიღო. ფარსადან სა-

ერთაშორისო ტიპი იყო,— მისთვის სულ ერთი იყო ეროვნება, სჯული, ოლონ-კი თვისი პირადი ინტერესები და ექმაყოფილებინა. შეიღებსაც ასეთსავე დარიგებას აძლევდა. იგი ნამდვილი ტიპია მაშინდელ ზეობა-დაქვეითებულ ქართველისა. აგრეთვე მისი თხზულების შესავალი გამომხატველია მაშინდელი მწერლობის დაქვეითებისა. ფარსადანს არც „ქართლის ცხოვრება“ წაეკითხა, არც სხვა რომელიმე ქართული საისტორიო თხზულება. იგი აღწერს მხოლოდ ნახულსა და ზეპირ-გადმოცემულსა. მხოლოდ „ერანის ხელმწიფეთა ისტორიაში“ და ლანგ-თემურის შემოსევის ისტორიაში მოქაოვება საუცხოვო ცნობები, რადგანაც იგი სარგებლობდა სპარსულ წყაროებით. საზოგადოდ საქართველოს აღწერაში იგი ორი სპარსული მწერლის თხზულებით სარგებლობს; ისკანდერ მუნშის ისტორიით და შერეფ-ედდინ-ალი-იეზდის. მაგალითად გორგიჯანიძეს ისკანდერ მუნშის შაპ-აბაზის ცხოვრებიდან აქვს ამოწერილი ვარისის მონასტრის წარტყვევნა, რომელიც „შედევრია“ აღწერილობისა. ისკანდერ მუნში მდივან-ბეგი და მწიგნობართ-უხუცესი იყო შაპ-აბაზისა და მას თვალით უნახვს ყოველივე საქართველოში. მას ისიც აქვს აღწერილი, თუ როგორ პატივსა სცემდა შაპ-აბაზი ქართველებსა, მათ ზეჩეულებათა, თუ როგორ ესწრებოდა და მონაწილეობას იღებდა ქართველთა მეფის კურთხევის ცერემონიის დროსა. ფარსადან გორგიჯანიძემ ძლიერ ისარგებლა მისი წიგნით.

ფარსადან გორგიჯანიძის წიგნს საისტორიო მნიშვნელობა მაინც და მაინც დიდი არა აქვს. უკუთქმითი მნიშვნელობა მისი ის არის, რომ მაშინდელი უვიცობის მომასწავებელია, დადგითი კიდევ ის, რომ შერეფ-ედდინ-ალი-იეზდისა და ისკანდერ-მუნშის რაც მოქაოვებოდათ საქართველოს შესახებ,— საუცხოვო აღწერანი და ცნობანი,— ქართულად მოგვცა.

ფარსადან გორგიჯანიძე საშინელი ორჭოფი კაცი იყო პოლიტიკურად. იგი ნამდვილი ტიპი იყო მაშინდელი ქართველისა, რომლის მსგავსიც დღესაც ბევრი მოიპოვება. მსგავსი პოლიტიკური ცხოვრება მსგავსს მწერალთა და მოღვაწეთა პბადებს ყოველთვის, — უსიმპატიოთა და ორჭოფთა.

ამ თხზულების მხოლოდ უკანასკნელი ნაწილია გამოცემული ბროსეს მიერ ჩუბინაშვილის რედაქტორობით. — საკვირველია ავტორის ენა. მან სრულიად აღარ იცის ძველი კელაპტარსავით ჩამოსხმული ქართული ლიტერატურული ენა. იგი სწერს მარტივის, ბაზრულის ენითა. აგრეთვე სპარსეთში ქართული მართლ-წერაც კი დავიწყებია: ვეღარა სწერდა „კანონის და მსგავსს ასოებსა, რაც სპარსულში არ არის. მაგალითად „საყდრის“, მაგიერ „სალდარსა“, სწერდა და სხვ.

ფარსადან გორგიჯანიძე წინამორბედი იყო ვახტანგის კომისიისა, ანუ განახლების ხანისა იმ აზ-

რით, რომ მატიანეთა გარდა, რომელიც მხოლოდ იწერებოდა მე-XVI საუკუნეში, მან სანჯაძე და გრიგორიანი კართველოს ისტორია „უცველეს და უძლიერ ქადაგის შესახებ“ იყო მომასწავებელი გონებრივი მუშაობის სურვილის გაღვიძებისა მაინც, თუმცა თვით ფარსადანმა საშინელი უვიცობა გამოიჩინა ქართულ საისტორიო წყაროთა ცოდნაში.

მაგრამ გიორგი მე-XI და ვახტანგ მე-VI-ის დროს უკვე საქართველოს ნამდვილი განახლების ხანა დადგა. მეოურამეტე საუკუნე ეს განახლების ხანაა. მაშინ სცდილობდნენ შეემუშავებინათ, შეეწორებინათ და განეწინდათ შერყვნილი ენა. ამისთვის მუშაობდა საბა-სულხან ორბელიანი. ვახტანგ მეფემ მოინდომა შეკრება, სამართლის სისტემატიურად დაწყობა და იმის ნაყოფი იყო ვახტანგის კანონები და „დასტურლამალი“, სახევისბერო წიგნები (ეს უკანაკასენელნი დაიკარგნენ). საერთო გონებრივი მოძრაობა არ დასტურებდა არც საისტორიო მწერლობის დარგსა, და სწორედ ამ დროს ეკუთვნის ვახტანგ მეფის სახელოვანი კომისია, რომელმაც შეჰკრიბა და შეასწორა „ქართლის ცხოვრება“.

B.

(შემდეგი იქნება)

## სინამდვილე.

შექმნა ტანიალად, უდარდეფად. სიზმრის და ფცხების დმერთი თავს მევლებთდა, მაჩვენებდა მრავალფერთვანს საკვირველს სურათებს და სახეებს. ანგელოზთ გუნდი გარს მექვეოდა და სულის წარმტაც, მომსიბლავ სიძღრებს მეუბნებოდა. ნიავი ცელქი, ნაზი ალერსით მეგრებოდა ჩემს დაწევის და საიდუმლო ხმით დამჩურჩულებდა საუცხოების ზღაპრების. ცა, მედამ უდრებოდო, გაბრწყინვებული და აკვარდეფან სიმაღლიდნ იუერებოდა ჩემს თვალებში: იგი ხედავდა იქ თავის სახეს. ბენება უხვი, გულ-გერილი, არწევდა ჩემს აგვანს, იავარდს მარტიდა გულზედ, ციურის ნანით მაძინებდა, მაღვიძებდა კოცნით და განუსაზღვრელის, მშობლიურის სიუფარულით მაწვდიდა და თავის ტკბილს ძებუს... ჩემი საშეარო ვიწრო იყო, მაგრამ მედამ სცემტაცია და მარტივი, იგი ჩემთვის იყო შექმნილი და მე იმისათვის. მე კამატოვალი ვიყავ არსებობით. ზრუნვა და სევდა არ მაშებდნენ, არ მაგვარდნენ ნორჩეს, გაზაფხულის ვარდსავით სახევრად გადაშლილს გელს. სიბოროტე და ორგულობა მძიმე ტვირთად არ დასწრება ჟარარას, მაგრამ სიწმიდით მაღალს სევდს.

ოჟ, წუთიერო ბედნიერებავ..

უცბად მოქენება უცნეური ხმა, რომელიც გულის სიღრმემდის. ჩამწვდა:

— აღმე, გამოვხიზდი!

რაღაც უსიამოვნო, მსუსხვემ სიცივემ გამირბინა,

ქალა-რბილში... გაეგიოვებულმა აკანილე ძილისაგან და-  
ძიმებული თვალები: ბეჭოდა... ციფრა! ცაშ ფერი იც-  
ვალა, მოიდრებდა. ჩემს გარშემო ქარიშხალი მძინევა-  
რებდა. ბეჭება, გვლე-გრილი და სასტიკი შორს იდგა და  
უცნაურის, უგულო, უგრძნობის თვალებით დაშტერუ-  
ბდნდა.

ପାଇଁ କାହିଁଏ ଦୋଷକୁଣ୍ଡଳୀ ତଥାଲୁବୀ.

— დექ, გმიოგხიზღდი! — კვლავ მოქესმა წინაძევა  
და ხმა. უნგბურად გაფახილე თვალები; წამოვიწია  
სხადვომად და... ღმერთო მაღალო, რა დაგინახე!

ჩემს წინ დღა შზის სხივებით გარშემორტყმულა, მაღალი, ტანადი, შეტად საზი და შშენიერი ქალი! მხერებზე კურა კრძელი, მდიდრულად მორთული შეფური ძალის მატებულის მანტა. ჭაეროვანი სარმა თდნავ ჭიათუადა მის შემცირებულ გულმკერდს. იმის თავზე ბრჭყალისა და, ათასოფრად ათასმებდა სხივებს ალმისას გვირგვინი. დიდობრი, ცისფერი თვალები, უძიროულაზღვრობი, აღთვრთოვანებით, მწველის ეშით ადსაგენი, აფერსით შიუერებდნენ და ტებილს ნექტარს მისხავდნენ გულში. ცისა და ქვეწის დაშმანებული, ზღვის ამაღლებელი, ქვის დამდნობელი ვნებათა-ღელგა ელვარებდა იმ ოვალებში! ისინი, მაგრამ, განა ადამიანის უსუსურს, მიწისაგან გამოქანდაგებულს ენას შეუძლიას მათი ღვთავბრივი სილამაზის აღწერა? მე ვიგრძენ იმ ოვალების მიზნიდველი, ჟიბნორტიური ძალა და უბრძოლველად დავემორჩილე მას. სულ-განაბული, გაშტრერებული შევეურებდი საკირველს თვალებს, ენა ჩამოგარდა. ხმა ჩამიწუდა, გული ამოხტომას ლამობდა!

— « და წამოჟევი! — მითხო ქალა ჩემის,  
ტკბილის ხმით. — მოდი, ჩეკუტე შენს საუკარელს! — რა  
მუსიკა, რა ჭარმოჩია შეედარებოდა ამ ხმას?! მშეგნ,  
გაშმაგებულ კეთხივით წამოვხტი და მივვარდი... მაგ-  
რამ იგი მარდად გამისხლტა სელიდგან და დადგა ჩემს  
წინ ცოტა მოშორებით. მისი სელექი ჩემგან იუნქენ გა-  
მოწვდილი.

თვალები შიცისოდნენ, მეტოვოდნენ, მექანინენ...  
ა, მოვეხვევი იმას, მოვიზიდე საკონელად, მაგრამ იგი  
პელავ გამისხლო სელიდგან და დიმილით გაცურდა ჩემს  
წინ. აღტაცებული, თავდავიწებული გამოვუდებ მომხიბ-  
ლავს არსებას. მინდთდა ჩამერა იგი გულში, რომ სა-  
მედომოდ დამტკბარვიყავ იმის ალერსით. მაგრამ ამათდ!  
ქალი სულ მისხლტებოდა სელიდგან და ისევ მიცურავდა  
წინ. მეც მივსდევდი იმას, მივსდევდი სირბილით. გატა-  
ცებული ერთის აზრით, ერთის წალილით, მე ჯერ არ  
ვგრძნობდი უქსეკეშ ნიადაგს, ღონიერის, მძლავრის გუ-  
ლით ვაპისდი ჭავერს, ქარიშხალივთ მიგჟერლავდი წინ,  
მედგრად ვებრძნოდი უკულგგარ დაბრკოლებას, უბუღოდ  
ველებდი, ვთელავდი უკელაუერს, რაც კი წინააღმდეგო  
ბას მიწევდა, უკადებას არ ვაკრცევდი გვენესს და თხვ-  
რას, რომელიც აღმოსდებოდა სოლე ჩემ მსხვერპლთა  
გულიდგან, მე არ ვგრძნობდი არც სიბრალუს და არც  
სინახულს. მე ვგრძნობდი და ვხელავდი მხრილი იმას,  
რომ ჩემს წინ მიცურავდა მშვენიერი ქალი, რომელიც

ან ჩემი უნდა ეთვილიყო, ან არაის! ამიტომაც გადებდა  
ფეხებებს ჩემს მომექებს, გადავდიოდ მათუ ტესტებზე კულტ  
და მიგჰწრდლავდი წინ!.. თანხდათან დაღლილობას შეცნია მისა  
ძოდა; მე დავხედე ჩემს გზას და პირველად დავინახე,  
რომ იგი იყო მოვენილი ეპლებით, მჭრელ ქვების ნა-  
ტექბით. აქა-იქ ქვემორომით დასრულებდნენ და გესლია-  
ნის გბილებით ჰეგლევნენ ჩემს სხეულს. სხვისა და ჩემის  
სისხლით შედებილი მუხლები აღარ მემორილებოდნენ,  
შეპერებოდნენ. ბერკელ დონე-მახდილი, დამაშერალი,  
შეიერმწურვალე დაცემულებარ მე გზაში, ბერკელ და  
მიწეველია საშინელის სიტევებით ჩემი თავი და სამეარო,  
ბეგრჯელ სასტარევეთილება მაჯლაჭუნასაგათ დამტოლია  
გულზედ, მაგრამ საგმარისი იყო ერთხელ მაიც შემუ-  
ხვდნა იმ საცეცოვა თვალებისათვის, რომ კვლავერი  
დამვიწეულოდა: ისინი კვლავ მიცინოდნენ, მეტერსებოდ-  
ნენ, მესახდნენ და მეც მივსდევდი მათ, მიგსდევდი!

გ ხა თანდათან გიშროვდებოდა, ოღონ-ზოდოები, პლეუ-დრეები წინ მედობებოდნენ და შეუძლოდ ჰქოვდნენ უკხას გადადგმას.

ଜ୍ଞାପନ କାହାର ମାତ୍ରାରେ, ମନ୍ଦିରକୁ ରଖିଲୁଣା, ଗର୍ଭାଲ୍-ଶ୍ଵର  
ରୀ ଏକେବୀ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଚନ୍ଦ୍ରକଥା, ଏକାରତୀ ମନୀଧୀ ହେବାରୁ ଏବଂ  
ଫଳିତରୀ...

შე წავისრიანდი, მაგრამ თავი შევიმაგრე და არ და-  
ვეცი, მხოლოდ წელში მოვიხარე სიმძიმისაგან. შიშქა  
შეიძურო ჩემი გთხება. გული მიღონდებოდ, სული მა-  
გუბდებოდა. ვედრებით, გულ-საკლავ განეხით შევხედე-  
ქალს, „მიშველე!“ მინდოდა დამეყვარა, მაგრამ ესა-  
გამოქვეყნდა. პეპლუტის მომიახლოება თავისი სისქ, რომე-  
ლიც ეხდა უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე წინად. თვალე-  
ბი ელფარებდნენ და ისე აღზებულად მიუკრებდნენ ე-  
რომ გაციებულს სისხლს და ტვის მიღებდნენ. — „ნუ გა-  
შინაან, მოგვევ ჩექნ, მალე მოგიძოვებო სულის მშვი-  
დობას, სიუკარულით თავს შემოგევლებით, ნაზის აღერ-  
სით დაგიტებობო დამაშვრალს გულს!“ — მეუბნებდნენ ე-  
სინი და მე... მე კვლავ მივრბოდი, მივსდევდი ჩემს  
გამარიტებულს და მის თვალების.

მთეუცმა პელავ ამართ მაღლა პიმრი და დამკრა  
მძიმელ, მაგრავ, ულმობელად!

ଶିର୍ଷୀକେ ଗୁରୁମହାଲୋକଟୁ ମିଥ୍ୟା. ତ୍ୟାଙ୍କୁପଥି ଦ୍ୱାମିଳା-  
ନ୍ତର୍ମାଣ, କ୍ଷେତ୍ର-ଶିରୀଳାଦି କୌତୁକାଙ୍କ ଫିଲିମିକ୍ସା.

— ხა, ხა, ხა, მომებს უციად საზარელი სარხარი.  
შეგიგრიბე უგანასკნელი ღონე და ცოტა წამოვიწიე,  
რადაც ბადე ჩამომიჯორდა ოფელებიდან. მივისედ-მოვისედ  
და... ამ, საშინელება!

ჩემს წინ იდგა რაღაც გატიტვლებული, მათინჯო, მაიმუნის მსგავსი ასება!.. შავი, დამძეჭილი, გამხმარი სახე... ეფთელი, დაჭნგებული კბილები... ჟატარა, ავი, გეელური თაღლები... მოკაველი, ბანჯგვლაინი ფეხები, გრძელ-ბრჭყალებაინი ხელები... დორბლაინი, საძაგლი ტუჩები... ოჯ, საზიზდარი!

გან ჩემს თვალებიდამ ჩამოვარდა ჭადოსნური ბადე. შე მოტეული ვიუვ, უსირცხვილოდ მოტეული! სად იყო იმისი მომჯადებელი სილამაზე, მზის სხივები, მეფეური მასტია და გვირგვინი!

უცხვირშირო დაცინებით მიუკრებდა მე!.. მას ფეხ ქვეშ ექანეს ის ჩემი გამაგიგებელი თვალები; დამკენარი, უკერეული!.. ჩემს ზურგიდამ ჩამოხტა ჩატარა, უსახო, უბილო და უგულო მოხუცი... ხელში ქარია იმას დადი ბშერი... თუ, რა საძაგლად ხითხითებდა!

— გინა ხართ, გინა? მითხარით დვთის გულისა თვის! ხრინწანის ხმით წამოვიდე მე.

შე გარ სიცოცხლე!—ხარხარით მიჰასესა მანდილო-სახმა და აღმოხინა შავი ღრძილები.

შე გრ დრო! შემოხითხითა მოხუცმა.

ის თვალები?.. ის გახლდათ ჩემი იდეალი!..

კ: მაყაშვილი.

ქართულ მწერლობის მოკლე მიმოხილვა

უძველეს დროიდგან.

დამოუკიდებელი ან ოპეროს ხანა.

XI

## შოთა რუსთაველი.

სხვა და სხვა აზრი „ვეფ. ტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ.

მესამე აზრი „ვეფ. ტყაოსნის“ შესახებ ეპუთვნის პრ. ხახანაშვილს. 1890 წ. „ივერიის“ მე 25 ნოემბრში მან გმირსთქვა ის აზრი, რომ რესტავრაციის ხელოვნების სამიზნების საწევლად უდევს ხალხური ბოეზის საწარმოების, გ. ი. სიმღერები ტარიელზე ისე, როგორც ფუსტეს და ჭამდეტეს საიუველირო უდევს საშეადო საუკუნის თქმულებინი. ამ ნაირად ბ. ხახანაშვილი უასრ ჭერებს „ვეფ. ტყაოსნის“ სიუჟეტის საქასებიდას სპარსეულ არა გინა და სამოხარისებრი აზრი, რომ მათ შესახებ, მეთრის—საუკუნებით ქართველ ხალხის გატაცება, „ვეფ. ტყაოსნით“! სუ თუ ჩვენმა მემატიანებმა და მწერლებმა (რომლებიც, როგორც სხვაგან, ბერები და სასულიერო ბირები იუვნენ) შერი იძიეს რესათებელზე და იმისთვის არ გახდეს ის ისტორიულ დოკუმენტებში მთხელების ღირსაფა, რომ მან თვისი შეკვეთი მთამწევდია ქრისტიანულ ასკეტიზმის ვიწრო ფარგლებში და შედარების შედეგან არის ამონის გული და სხვა გულიდგან ტარიელზე მთხიარეულე სიმღერების შედარებაზე. <sup>1)</sup>

ამ შედარებამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანია, რომ ტექსტი მოთხოვნილი ტარიელის ამბავი უფროსია ხელოვნებად შექმნილ პერიოდი, მოემის შინაარსი ქართველ ხალხის გულიდგან არის ამონის გულიდგან.

ბენება და ხასიათი მოქმედ პირთა, საჭარო და საედმზეთ უფრო-ცხოველება, ზნე-ჩვეულება, ადათი—სუ-

შელაფერ ამას „ვეფ. ტყაოსნის“ „ტექნიკა ქართული ელ-ფერი და ნაშან-წევდა. თუმცა მოქმედება მწერლების ინდივიდუალური არაბერძობის, ჩინეთში, ხევათში, აზერბაიჯანში და მადალ ნიკიერმა რესტავრაცია გააკეთილ მობილა, ადამიადლა აზრ-შინარსი და იდე ტარიელზე მთხიარეულე სიუჟეტისა. უბრალო სააშიკ ინტრიგა მან შესცვალა, გარდა ქმნა უცილეს, ბრწყინვალე და თავდადებულ მიჯნური აბად; გენიალურად შექმნა-შექრითა ჭირობის სიუჟეტი ფსიხოლოგიურ და გვიარვებასა და ფილისტიკურ აზროვნებასთან. სუეგლა-ფერი რესტავრაცია ისე შეაზა-შექაზმა და გახდია მომჯა-დობულ და ტერატურულ ფორმები, რომ „ვეფ. ტყაო-სნის“ დღემდის ითვლება სამაგლითო საწარმოებად ჩვენს დატერატურაში. <sup>2)</sup>

როგორც დავინახეთ, ბერი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა „ვეფ. ტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ. „ვეფ. ტყაოსნი“ იყო და ახდაც არის ფრიად საინტერესო საგანი მსჯელობისა, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან.

მაგრამ საკითხი „ვეფ. ტყაოსნიზე“ და მას ავ-ტარზე ჭერაც საბოლოოდ არ გამორჩეულა; ის დღესაც ბურებშია გამვეული. ამ გზის დაბნებაში და სინამდივის გაუგებლობაშია, აკაგის აზრით, ცდომა არ იქნეს, თთოთხ რესტავრაცია აქვს ბრალი, რადგანაც თითოო ამბობს: „ესე ამბავი სპარსეული, ქართულად სათარგმანები!.. ვებრე და ლექსად გარდავთქმით“.

ამისთვის შემცდარი იქნება ის შევლევარი, ვინც თვის ჭიროტეზას „ვეფ. ტყაოსნიზე“ ჭემარიტებად ჩასთვლის.

მართლაც, რადაც საიდუმლოებით მოცულია პიროვნება რესტავრაციისა და ბედი მასი „ვეფ. ტყაოსნის“. ერთის მხრით—სრულ დუმილი ჩვენი ისტორიულ წე-რებისა მათ შესახებ, მეთრის—საუკუნებით ქართველ ხალხის გატაცება „ვეფ. ტყაოსნით“! სუ თუ ჩვენმა მემატიანებმა და მწერლებმა (რომლებიც, როგორც სხვაგან, ბერები და სასულიერო ბირები იუვნენ) შერი იძიეს რესათებელზე და იმისთვის არ გახდეს ის ისტორიულ დოკუმენტებში მთხელების ღირსაფა, რომ მან თვისი შეკვეთი მთამწევდია ქრისტიანულ ასკეტიზმის ვიწრო ფარგლებში და შექმნა ისეთი საწარმოებია, სადაც უმაღლეს წერ-ტელამდე განვითარებული დგათა ეპრიორი მაღალა ქალ-ვაჟის სიუჟეტებისა, სადაც იდეალურ არის დახატული უებარი გმი-რობა და შეურეველი მეგორიობა! <sup>3)</sup> მაგრამ ეს მოსაზ-

<sup>1)</sup> თითქმის ამავე აზრისაა „ვეფ. ტყ.“ ლრმა მკვლევარი ბ. ალ. სარაჯიშვილი. ის ამბობს: „მე „ვეფ. ტყ.“ სიუჟეტი ირაულ ამბად მიმართა; მაგრამ ეს ამბავი ზეპირად უნდა ყოფილიყოს რესტავრაცია ხალხში მოარული და არა მწერლობით“ („ველ საქ.“, ტ I, საზოგადო კრებათა ოქმები, განკ. VI, გვ. 18.).

<sup>2)</sup> მ. ჯანაშვილი სწერს: „ვეფ. ტყაოსნის“ სდეგნიდა

<sup>1)</sup> „Ocherki“, ვაپ. II, გვ. 254,

რეაც რომ ჭიშტებაა და არა უტესას ფქტებე დამ-  
უკებელი ჭიშმარიტება!

ერთის სიტევით, საკითხი „,გეფ. ტეატრის დამ-  
სი აუტორის შესხებ ჯერ-ჯერადით გამოურკვეველია და  
დარჩება ასეთს მდგრადი მანამდის, სანამ არ აღ-  
მოჩხდება ისეთი სტუთი, რომელიც უტესარ ცნობებს  
მოგვცემს რესთაველზე და მის ნაწარმოებზე.

### „გეფ. ტეატრის“ ბედი და თავ-გადასავალი.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის, რაც მრავალთა-  
თვის გამხდარა საყვარელი და სათავეანებული, — სწორედ  
ეს ზოგიერთებში იწვევს სასტიკ სიძევილს. ბევრს,  
მაგალი, რომელიმე შეუტ-შერალი და მისი ნაწარმოები  
,,ხელის-ხელ საგოგმასტბლად“ გაუხდია; იმავე დროს  
ზოგიერთები ამავე პირს და მის ნაწარმოებს ზიზდით  
იხსნიებენ, ცდილობენ დაუკარგონ ნდობა-პატივი, სდევ-  
ნას კადეც. რამდენად ინტენსიური და გატაცებულია თა-  
უგანისცემა-პატივი პირველთა, იმდენად გულჩათხობილი  
და უდმიტელია ზიზდი და შერი მეორეთა.

„ტრიასტემა-აღტაცება პირველთა მომეტებულს შემ-  
თხვებში უანგარო და გულწრფელი და დამურებულია  
იმაზე, რომ დადმა ნიჭია და მძღვრის ხელობამ გააა-  
განუწევეტელი და ტებაალად მომჟღერე სიმები შემომქმედ-  
მკითხველთა შორის; შეორეთა ზიზდს, შერს და ბარბა-  
როსულ დევნის კი სარჩევად უდევს ხმირად სარწმუ-  
ნობრივი, კლასობრივი ან ბოლიტიკური ფასატიზმი. ფას-  
ტიკომა კი არ იცის შებრალება; ის სოელავს არა სა-  
სიმოვნო პირს ან იდეის და მზად არას გააქრის, ადგა-  
ვთს პირისაგან ქვეუნის მისოვის არა სასიმოვნო მოვ-  
ლენა.

სხსნს, რომ სწორედ ერთს და იმავე დროს ასეთ  
აღტაცებულ სიუგარელის და სასტიკ დევნის საგნად გამ-  
ხდა, „გეფ. ტეატრის“.

წინა საუგუნთებში „,გეფ. ტეატრის“ ქართველები  
საგნ სათავენო იყო. ის მაჩხდათ რადაც დიდებულ და  
საგირებელ განძალ. უმისოდ დიდებული ოჯახი დიდებუ-  
ლად არ იწოდებოდა, რაც უნდა სიძიდირით საგესე ურ-  
ფილიყო. ის ქორწილი საქებრად არ ჩაითვლებოდა და ის  
შზითები შზითვად არ იხსნიებოდა, თუ რომ შზითვის  
სიაში პირველი „,გეფ. ტეატრის“ არ იქნებოდა მოხ-  
სენებული ۱).

„გეფ. ტეატრის“ თაუგანისცემი საუგუნთებითაა.  
ასეთი ბედი, როგორც „,გეფ. ტეატრის“, ერთ, არც  
ერთ ხალხის კლასიკურ თხზულებას არ ჭირნა. შექს-  
ნირის და სხვა გენიოესეთა თხზულებები ან საუგუნთე-  
ბის განმავლობაში ხალხისათვის გაუგებარი იყო, ან ქება-

სამღვდელოება (რადგანაც ცალმხრივად ესმოდა მისი შინაარ-  
სი). ამისათვის ქართული მიტიანენი მე XIX საუკუნისა,  
რომლებიც შედგნილ იყვნენ ჭყონდიდელი მთავარ-პისკო-  
კოზის ხელმძღვანელობით, სრულებით არ იხსნიებენ რუს-  
თაველს... („ცარ. თამარ.“, გვ. 92.)

<sup>1)</sup> პლ. იოანელიანი „შოთა რუსთაველი“.

დადება გითავებით და დაგიწყებაში მაცემულია. „გეფ.  
ტეატრის“ კი, დაიწერა თუ არა, მაშინვე გახდა „,გე-  
ლის-ხელ საგოგმნებულ“ თბოლ მარგალიტაში კურულ-  
მელ შემცირდის მოწმობით, „,გეფ. ტეატრის“ ტაქტისტის უკუ-  
ცლდა ძეგლად რომ თითქმის უფელი გაცი სცდილობ-  
და მის ზეპირად დასწავლას. არამც თუ მაშათა სქე-  
სი, დედათა სქესიც დიდის აღტაცებით იზეპირებდა  
ბევრს ტაქტებს და ზოგჯერ მთელ წიგნსაც. უფელი ქა-  
ლი დიდის სიცროხიდით და სიცაქიზით იცავდა ამ  
წიგნს, როგორც წმ. ჯვარს და სახარებას.

„გეფ. ტეატრის“ ხიბლავდა და ასამოვნებდა ქარ-  
თველ ხსლებს შეიდის საუგუნის განმავლობაში. მისა ენა  
იყო — ეს სიუგარელისა, დამთრობი ქალთა გულისა; იმას  
იზეპირებდნენ და იმეორებდნენ ქალქებში, დიდებულთა  
ცის-კოშებში, სოფლელთა ქოხებში, მეფეთა ჰალა-  
ტებში და გარშემო შეივთა ტახტისა. ۲) ერთის სიტე-  
ვით, „,გეფ. ტეატრის“ გახდა საუკეთ ქართველთა ერისა.

ამავე დროს ერთი საწილი ხენის ერისა — სამღვ-  
დელოება, რომელსაც მართდა ღულიწყარი შრომა და  
ღაწული მუქმედდა ქრისტიანულ კულტურის განმტკიცება-  
დაშეგირდებაში საქართველოში და დიდს როლსაც თამა-  
შობდა საქართველოს პილიტიკურს ცხოვრებაში, — სასტი-  
კად სდევნიდა „,გეფ. ტეატრის“ და უფელ დონის ძი-  
ებას ხმარობდა და ემცირებისა, დაეგმო მისი აუტორი,  
რადგანაც მიაჩხდათ ხალხის გამრევნებული, სარწმუნოების  
დამმცირებლად, ქვენა გრძნობათ, წესათა-დელფათა ასამ-  
ღვრელებად. ამ გვარი მოწინააღმდეგეთა დასი შოთა  
რუსთაველის დორიდგან იწყებს მეცადინეობას, სამტრო  
მოქმედებას; ასეთმა შეხედულებამ „,გეფ. ტეატრის“  
გასტანა მე XIX საუგუნის დასაწეასმდე.

ამავე დროს „,გეფ. ტეატრის“ თვის იდეათა სი-  
დიადით, მიუწდომელ პალტურ სიმშევნეერით და მწერ-  
ლი, მსუბუქი და მდიდარი ქნით ან ლექსთა. წეტით,  
ქართველ შეათანა ნიჭის და უნიჭი მოღვენებით და მწე-  
რალთა შორისაც გამოიწვია შერი, მტრობა.

ასეთია საზოგადოდ ფსიხოლოგია საშუალო ნიჭის  
პარორით!.. მათი შერი მომეტებულ შემთხვევაში არ  
არის დაბალის ხარისხისა: ეს არის შერი მუშაკისა,  
რომელისაც პალტია, ხელოვნება დაუსასავს ცხოვრების მიზ-  
ნად, თავდევიწებით, გამუდმებით ემსახურება მას, მაგ-  
რამ თვისს მემჭმედებით ვერ მოგხიბდავს საზოგადოე-  
ბა, ვერ შეუქმნია უკვდავი რამ.

ამავე დროს მისი აშხანა თავისუფლად თავშეუ-  
წებელად, სხვათა შორის, ჭემის გენიანებულ საწარმოებს  
და ხდება ქვეუნიურ ღმერთად.

მუშაკი თავის თავს გრძნობს უსამართლოდ შეუ-  
რაცხეოფანად: ის მზად არის ალგმოს განგება, ცას შეს-  
ჩივლებს თვისი უბედობა. ამავე დროს ის მწვავე შერის  
გრძნობს იმ შირის მიმართ, რომელიც ბუნებისაგან და-

<sup>5)</sup> ფსიხოლოგია მუშაკისა, — მისი მწვავე შერი და  
უკაყაფოლება დიდის დაკვირვებით და ადამიანის სულის  
ღრმა ცოდნით დახატული აქვს ა. პუშკინს „,მოპარტა და  
სალერ“—ში. სალიერი მსოფლიო ტიპია.

ჭიდავებულია ცოურის ნიჭით, გქნიადაბით.

სასაკერიველია, ჩეენშიაც იქნებოდნენ „საფაირები“ რომელიც შეცდებოდნენ შთა რუსთაველის და შირი საწარმოების დამცირებას. მავიუგან. ერთს ფაქტს, რომ ქვიდ დამახსინობელ ნიშვად შიგგაჩნია. არჩალ შეფე თვის თხზულებაში მთლექსებაში აჯიბრებს ერთმშენეთს რუსთაველსა და თეიმურაზ ბირველს და ძლევას აჩენს თვიმურაზს, თუმცა უკანსკნელი, აკაბის სიტუაცია; რუსთაველის აჩრდილადაც არ ჩამოვარდებოდა.

დაახ, ქართველი ხალიერებიც ასე ექცეოდნენ „ცის შეინს“, ქართველ მოცარტის — უსიარესობი!

იპ. ვართაგავა.

## ქართულ-რუსული პრესა.

თბილისში და საქართველოს ზოგიერთ ქალაქში ქართულ-რუსული პრესის არსებობა მისი საჭიროებითა და უეჭველი სარგებლობით როდი განისაზღვრება. მართლაც რომ აუცილებელი საჭირო იყოს ეს პრესისა ჩვენთვის, — იგი ასეთი საცოდავი და უპრინციპო იქნებოდა? — როცა ნამდვილად არის საჭირო რომელიმე გაზეთი, თუნდ რუსულ ან სხვა უცხო ენაზედ, — სრულიადაც რომ არ იყოს არავითარი სალსარი, კაპეიკობით შეკრებენ და როგორმე დაიქმაყოფილებენ ამ საჭიროებას თვით საზოგადოების წევრნი. ასეთი მაგალითები იყო ჩვენში. როდესაც აუცილებელი შეიქმნა ჩვენთვის თავისუფალი ქართული პრესისა, — უცხოეთში გადიხევეწა მშეერმწყურვალი ხალხი და იქიდან აწვდიდა საქართველოს თავისუფალ ხმასა. გაზეთიც განსაზღვრულის პრინციპებისა და მიმართულების იყო. საჭირო შეიქმნა მაშინ აგრეთვე ფრანგულად ლაპარაკი, — და შეკრებილი გროშებით აგრეთვე განსაზღვრული მიმართულების ფრანგული გაზეთი არსებობდა, — ფრანგებთან სალაპარაკოდ, — არა ლაქის კილოითი, არა მედ თამაში და ღირსეული მოქალაქის კილოით „საქართველო“ და „La Géorgie“, — აი ორი გაზეთი, მართლაც ნამდვილ საჭიროების ნიადაგზედ აღმოცენებული.

დღესაც, რუსული პრესის საჭიროება მართლაც რომ ეთანხმებოდეს ქართულ საზოგადოების ნამდვილ მოთხოვნილებას, — განა თბილისში გამოვიდოდა ისეთი გაზეთები, რომელიც ეხლა არსებობს? არა, — ნამდვილი მოთხოვნილება და საჭიროება რომ იყოს, — ერთი რუსული გაზეთი პეტერბურგში ან მოსკოვში იქმნებოდა, განსაზღვრული მიმართულებისა, გარკვეული პრინციპებისა, ქართველ-თაგან დაარსებული, ისეთ რუს, პოლონელ, ფინლანდიელ და სხვა მეგობართა დახმარებით, რომელიც ცნობილი არიან მწერლობაში და საზოგადოებაში, რომელიც თანაგრძნობენ ჩვენს მიმარ-

თულებასა და პრინციპებს, რომელიც ჩვენთან ერთ-სულ არიან რწმენითა. ასეთი რუსული გაზეთის ხმა, დამტერწმუნები, სულ სხვა დირსებისა და მინიშვნელობისა იქმნება.

ჩემის ფიქრით ასეთ პრესის უცხო სატახტო ქალაქებში აქვს მნიშვნელობა, ხოლო საკუთარ სახლში — არასოდეს მიზეზები ამისი მარტივია, — შენ სახლში, შენს ენაზედ უნდა შექმნა საზოგადოებრივი აზრი, — სხვის ქვეყანაში, — სხვისაზედ. ასე იქცევა ყველა, ჩვენს მეტი, ვისი წაბადვაც ღირს და ვინც იცის პრესის საჭიროებაც და სარგებლობაც.

მაგრამ კარგი, ვსთვათ სხვაგან არ შეგვიძლია ასეთი გაზეთის დაარსება, უსათუოდ თბილისში უნდა იყოს. თუ ეს აუცილებლობა გარდაუვალია ზოგიერთა აზრით, — აქ მაინც რატომ ვერ ეძლევა გაზეთს განსაზღვრული მიმართულება, განსაზღვრული პრინციპის ხალხი რატომ არ არის ხელმძღვანელი გაზეთისა და რა უნდა ამ გაზეთებში ისეთს ხალხს, რომელიც დღეს „ლისტუკშია“, ხვალ „ზაკავკაზიერში“, ზეგ შეიძლება „გოლოს-კავკაზში“ გადვიდეს, — ხალხი, რომლის მოსილდვაც შეიძლება და თავ-ლაფ-დასხმაც?

რა სარგებლობა აქვს ისეთ პრესისა, სადაც ლევან ყიფიანი, ნაგურსკი და მსგავსი მწერლები მუშაობენ? რა საზოგადოებრივი აზრის შექმნა შეუძლია? ან თუ ჩვენ თავს აცნობენ ისინი უცხო საზოგადოებას, — როგორ „აცნობენ“? — აი, ეხლაც გამოჩდა, როგორ „გააცნო“ ჩვენი თავი უცხო საზოგადოებას, ჩვენმა რუსულმა პრესამ! — თვით ღირსება ამ პრესისა ისეთია, რომ ყვოლად შეუძლებელია მან რამე სარგებლობა მოიტანოს: უპრინციპისა, მიმართულების უქონლობა, თანამშრომლების არჩევაში სრული უვიცობა ან ინდიფერენტობა მი, — აი თვისება ამ პრესისა. ასეთ პრესის თავის ღირსები არ მოუტანია არავითარი სარგებლობა არსად, და მეტადრე ჩვენში იგი ვნების მეტს არას მოიტანს.

ბევრსა ჰგონია, რუსული პრესისა ჩვენში საზოგადოებრივ აზრსა ჰქმნისო. უკაცრავად, — ეს დიდი შეცდომა. საზოგადოებრივ აზრს ჰქმნის ამიერკავკასიაში ქართული, სომხური, თაორული პრესისა, და თუ რომელიმე რუსული გაზეთი მართლაც არის რამე საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი რომელიმე ერისა, — ეს რუსული გაზეთი, დარწმუნდით რომელიმე ეროვნული გაზეთის რუსული განყოფლებაა. ამიერ-კავკასიის საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს, როგორც არ არსებობს ამიერ-კავკასიის ერი. თუ კი ზოგიერთს რომელიმე ღირსების ან ორიოდე „გოროდოვოს“ აზრი მიაჩნია საზოგადოებრივ აზრად, — მაშინ სხვაა, მაგრამ, არ ვიცი, ამ მიზნით მთელი პრესის შექმნა სახეიროს თუ არა, — ან ხელ-საყრელი, ან სასარგებლო ჩვენთვის.

ма ротлоау твоал-саююн ар аюис, ротм тбилисში арц ერთი რუსული გაზეთი ар аюис გამომხატველი საზოგადოებრივი აზრისა? თბილისშიც მხოლოდ ორი საზოგადოებაა, ქართული და სომხური, რომელსაც თავისი აზრი აქვს, შემუშავებული მთელი ერთი ინტერესების ნიადაგზედ, და საზოგადოებრივი აზრი დანარჩენ ელემენტებისა არ ჩაითვლება საზოგადოებრივ აზრად, ან და ისეთია, რომლის უურადლების მიქცევა არც ჩვენ მოგვცემს ხელს, არც სომხებსა. — შათაც აქვთ თავიანთი გაზეთები, „გოლოს კავკაზია“ და სხვა, — ჩვენც მათთან საქმე არა გვაქვს და არც უნდა გვქონდეს, — ჩვენი საქმე არ არის მათ „საზოგადოებრივ აზრისათვის“ უურის თხოვება. დარწმუნება დიდ მოხელეთა, მორჯულება „ჭეშმარიტ რუსთა“ ან მათი აზრი ქართველებზედ ჩვენთვის აგრეთვე საინტერესო არ არის.

ჩვენი რუსული პრესსა ქართველ ერის ინტერესის ნიადაგზედ არ არის აღმოცენებული. მის არსებობას ორი მიზეზი აქვს. ერთია ის დამლუპველი მოვლენა, რომელსაც ვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებაში უოველ ფეხის გადადგმაზედ: ქართული ენის გაძევება და სხვა ენისაგან მისი ადგილის დაჭრა. ამ მოვლენას ჩვენ თვითონ უუწყობთ ხელსა. მაგალითად თავაღ-აზნაურობის კრებაზედ შეუძლებელია ქართულ რომ გაიგონოს დამსტრება: რაღაც მოთხოვნილებად გაღიქა უცხო ენაზედ არა თუ ლაპარაკი, არამედ წერაც საზოგადოების ერთ ნაწილისათვის, და ეს უკანასკნელია რომ უცხო ენაზე იყლავს საზოგადოებრივ წყურვილს ლაპარაკისას და წერისას. მან შექმნა ის ატმოსფერა რუსული პრესსისა, სადაც უველს აქვს ადგილი, ოღონდ ერთი „მთი-თვონ“ დაჯღაბნოს, — ყველას, პრინციპის აღამინია იგი თუ უოველ პრინციპს და მიმართულებას მოკლებული. მას აქვს ის რწმენა, თითქოს ჩვენში საზოგადოებრივი აზრი რუსულად იყოს წარმოთქმული, რადგანაც, თვით რომ რუსულად ლაპარაკობს, ჰერნია, საზოგადოებაც ის თვით არის! — მეორე მიზეზი კი დევ პოლიტიკანობაა. საზოგადოების ამავე ნაწილს ჰვინია, რომ რუსულ პრესში დიდ პოლიტიკას აწარმოებს. მაგრამ სირაქლემის „პოლიტიკით“ თავის დღეში რომ არც „მთხელები“ მოტუუბული და არც სხვა ვინაუ, — მას კი ვეღარა ჰევლავენ. ასეთი პოლიტიკა რომ სიცილის მეტს ვერას გამოიწვევს იმ აღამინთა შორის, ვისაც ჩვენი პოლიტიკოსები ერთობ გამსჭვირვალე პოლიტიკურის ენით ებასებიან, — ეს ცხადი და უეჭველია.

დიახ, თუ რუსული პრესსა საჭიროა, — იგი საჭიროა პეტერბურგში უპირველეს უოვლისა. თუ პოლიტიკა საჭირო, — კვეანი და ბრძნული. თუ რუსულად მწერლებისა საჭირო, — პატიოსანი ქართველები, საქართველოს მცოდნენი, აგრეთვე მისი

მეგობარნი უცხო მცოდნე მწერალნი, და არა ლევან ყიფიანი და ნაგურსკი. თუ პეტერბურგში აზრ შეუძლიათ ნამდვილი რუსულ მწერლობა აქ იყვნენ, მაგრამ რუსული გაზეთს განსაზღვრული მიმართულება მისცენ, დაუმორჩილონ ქართულ საზოგადოებრივ აზრსა. თუ კი რუსული ქართულის სამაგიეროდა სურთ და თავიანთი თავი მართლაც ქართულ საზოგადოებად წარმოუდგენიათ, თავიანთი პრესსა ქართულ საზოგადოებრივ აზრის გამომხატველია, — ნურას უკაცრავად, თუ ეს პრესსა მავნებელ ხორც-მეტად ჩასთვალი ქართველმა საზოგადებამ და თანაგრძნობის მაგივრად მას ბრძოლა გამოუცხადა. აგრეთვე ნურც ის გაუკვირდებათ, თუ შემდეგ ნაგურსკი და ლევან ყიფიანმა კი არა, უარესებმაც დაიბუდეს მათ პრესსაში და სრულიად გაათახსირეს იგი.

### ალაროდიელი.

რედაქტორ-გამოცემელი: პეტრე სურგულაძე.

## Открыта подписка на 1910 г.

(ТРЕТИЙ ГОДЬ ИЗДАНИЯ)

на двунедельный журналъ

## „ФИНИЛАНДІЯ“

Выходитъ 10 и 25 числа каждого мѣсяца.

### 24 номера въ годъ.

Редакторъ: А. В. Игельстромъ.

Издатель: Д. Д. Протопоповъ

Задачей журнала „Финляндія“ является освещение такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и страженіе неправедливыхъ шовинистическихъ нападковъ извѣстной части русской периодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостостоятельность, многократно подтвержденную российскими Монархами.

ФИНЛЯНДІЯ кромѣ того даетъ обширный фактический материалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣствуетъ культурному сближенію русскаго и финляндскаго общества.

Подписьная цена съ доставкой и пересылкою: въ Россіи и Финляндіи на дѣлый годъ 6 руб., полгода 3 руб., три мѣсяца 1 руб. 50 коп.

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложеннымъ платежемъ 35 копѣекъ).

Подпись принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста), въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (Б. Конюшенная, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вольфа, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ, финляндіи и провинціи.